ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N4

ქ.თბილისი

27 დეკემბერი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე	მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე	მარიამ ზაქარიაშვილი
ზაზა თავაძე	ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიტაიშვილი
სალომე კობალაძე	ცოტნე კობერიძე
ზვიად კუპრავა	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ლევან ჟორჟოლიანი
ალექსანდრე რატიშვილი	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე
სოფიო ჯაფარიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგი აჩვენებს მმართველი პარტიის მიდგომას მოქალაქეების მიმართ, რაც გამოიხატება იმაში, რომ შემცირებულია ის ხარჯები, სადაც საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფს სჭირდება დახმარება, მათ შორის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა დაფინანსების პროგრამა, სოციალური დახმარების მიმართულება და ასევე, გამხმარი ხეების ჩანაცვლების პროგრამა, რაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიის კუთხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ამ ყველაფრის ფონზე, ტრანსპორტით მგზავრობის გაზრდილი ფასი და ასევე, დასუფთავების და პარკირების გაზრდილი გადასახადი, დამატებითი ტვირთია, როგორც მოსახლეობისთვის, ასევე, ბიზნესისთვის. თუმცა, ამის პარალელურად, მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯები, რაც, მისი თქმით, მეტყველებს იმაზე, რომ მმართველი პარტიის წევრები „ჩარჩენილი არიან ფეოდალურ ეპოქაში, სადაც არავინ ზრუნავდა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე". მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობა ამ პროცესს მისცემს კანონიერ შეფასებას და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორიც სურს.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი დედაქალაქის მერს ავალდებულებს, წელიწადში ერთხელ, საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში, თუმცა მიმდინარე წელს ეს არ გაუკეთებია. აქვე, ისაუბრა იმაზე, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ ოპოზიციის დესტრუქციულობაზე, თუმცა დესტრუქციულობის ნათელ მაგალითებს ვხედავთ სწორედ მათი მხრიდან იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც საკრებულოში არ ჰყავთ უმრავლესობა. მისი თქმით, „ქართული ოცნების" ნამდვილი სახე წარმოჩენლია იქ, სადაც არჩევნები წააგეს. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა გადასახადების გაზრდაზე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში არის 13%-იანი ინფლაცია, მოსახლეობა გაღარიბებულია და ამ ფონზე ორმაგდება ტრანსპორტთ მგზავრობის საფასური და დასუფთავების გადასახადი. მისი თქმით, თითქმის დადასტურებული ფაქტია, რომ თბილისის მერია ყიდის პარკინგს და დაინტერესდა, პრობლემა კომპანია „city park"-ის სახელთან იყო თუ რატომ გადაიხადა მუნიციპალიტეტმა ჯარიმის სახით 25000000 ლარი. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა სოლიდარობა გამოუცხადა მოშიმშილეებს, განსაკუთრებით საკრებულოს წევრებს და გამოსვლა დაასრულა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიტყვებით: „თავისუფლება პუტინის ტყვეს, მიხეილ სააკაშვილს".

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ორი კვირის წინ, კახა კალაძემ საკრებულოს წარუდგინა ანგარიში, თუ რა გაკეთდა ოთხი წლის მანძილზე, ისაუბრა, რა არის დაგეგმილი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში და წარმოადგინა ის ადამიანები, ვისთან ერთადაც აპირებს ამ ყველაფრის გაკეთებას. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ კახა კალაძეს საკრებულოსთვის არ წარმოუდგენია წლიური ანგარიში, არარელევანტურია.

ნინო კვიტაიშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა მოშიმშილე მეგობრებს და განაცხადა: „თავისუფლება მიხეილ სააკაშვილს". ისაუბრა ბიუჯეტზე, მიმართა ქალაქის მერს და მთავრობას: „ფასადურობა, სიყალბე, მომხვეჭელობა - ეს არის ის, რასაც მოღვაწეობას უწოდებს ეს კლანი და რეალურად კი ეს არის ტიპური წურბელობა, როცა იკვებებიან ხალხის ხარჯზე, როცა ბიუჯეტი შედგენილია ისე, რომ მოსახლეობა აქედან ბენეფიტს ვერ მიიღებს და პირიქით, კალაძისა და მისი კლანის ფუფუნება აშკარად გაორმაგდება". მისი თქმით, გაზაფხულზე, კახა კალაძე და მისი გუნდი სოლიდარობას გამოუცხადებენ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებს, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი სიყალბე, რადგან წარმოდგენილი ბიუჯეტით მცირდება მათი აბილიტაციის თანხები. ასევე, 1 ივნისს, „დაიწყება

პოზირება“ სხვადასხვა ე.წ. ბენეფიციარ ბავშვებთან, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ დღეს, თბილისში, ბავშვები ცხოვრობენ ნაგვის ურნებთან. შემდეგ, თავისი ძვირადღირებული ავტომობილებით, ჩაივლიან იმ „გაპრანჭულ სკვერებთან“, სადაც ძიძები ასეირნებენ ბავშვებს და კარგი იქნებოდა ეკითხათ მათთვის, თუ რა უჯდებათ თავის აღსაზრდელამდე მისვლა და ზოგადად, ჰკითხონ ადამიანებს, როგორი არის მათი ცხოვრება ამ ინფლაციის ფონზე. მისი თქმით, გაზრდილი ბიუროკრატიული, სამივლინებო თუ სახელფასო ხარჯებით, ბიუჯეტს საკუთარ თავზე ირგებს თბილისის მთავრობა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ დედაქალაქის მერი საერთოდ არ გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად თბილისელების და საკრებულოს წინაშე და სამწუხაროდ, აკნინებს საკრებულოს როლს, რადგან არ თვლის თავს ვალდებულად, ჩააბაროს ხალხს ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ რა გააკეთა გასული წლის განმავლობაში. მისი თქმით, კახა კალაძეს ალბათ ვეღარ ვნახავთ წელს საკრებულოში, თუმცა 31 დეკემბერს ვნახავთ საახალწლო ნაძვის ხესთან, სადაც თავს მოგვაჩვენებს იმ ქალაქის მერად, რომელშიც ერთ-ერთი გამორჩეული სიკვდილიანობა არ არის კორონავირუსის გამო და სადაც სიღარიბე არ არის უკიდეგანოდ გაზრდილი. მისი თქმით, დღეს, ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური თუ კოვიდ პანდემიის კუთხით არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ახალი წლის პომპეზურად აღნიშვნა საერთოდ არ არის საჭირო და კახა კალაძის ეს საქციელი ადასტურებს, რომ „მერს ეშინია საკრებულოში მოსვლა, ეშინია, მათ შორის, კრიტიკული კითხვების მოსმენა, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, კრიტიკული კითხვები, კრიტიკული ინსტიტუციები ამ ხელისუფლებისთვის არის ძალიან სერიოზული ეგზისტენციალური საფრთხის შემცველი“, რისი ნათელი მაგალითია ის, რომ განსხვავებული მოსაზრების გამო, მმართველმა პარტიამ განიზრახა გააუქმოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ძალიან რთულია ვისაუბროთ ბიუჯეტზე, რომლითაც თბილისის მოსახლეობას ეზრდება გადასახადები და ხელისუფლებას ეზრდება ხელფასები. ისაუბრა სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტზე და აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ, ევროკავშირის მოთხოვნით, საქართველოს სახელისუფლებო რგოლს დაემატა მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც შექმნილი იყო არა რომელიმე პარტიის დასაცავად, არამედ ნებისმიერი ადამიანის დასახმარებლად. განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობა დღევანდელი ხელისუფლებისთვის გახდა მიუღებელი, გადაწყვიტა ამ ინსტიტუტის გაუქმება და დაინტერესდა, რამდენად პროევროპულად და სწორად მიაჩნია საკრებულოს უმრავლესობას ცენტრალური ხელისუფლების ეს ქმედება. საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა სოლიდარობა გამოუცხადა მოშიმშილეებს და ისურვა იმ საქართველოში ცხოვრება, რომლისთვისაც საკუთარ ჯანმრთელობას სწირავენ მისი კოლეგები.

ზვიად კუპრავამ გაიხსენა კახა კალაძის სიტყვები, როდესაც ის საუბრობდა, რომ საწვავის, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის და ზოგადად, ყველაფრის ფასები ხელოვნურად იყო გაზრდილი და მოსახლეობას ფასების დაწევას პირდებოდა და აქედან გამომდიარე, მიმართა მმართველი პარტიის წარმომადგენლებს - „სად არის განახევრებული კომუნალური გადასახადები, რომელიც დაპირდით საზოგადოებას; სად არის ხუთი მილიონი თითო სოფელს; სად არის ასი ქარხანა, რომელიც დაპირდით საქართველოს მოქალაქეებს და სად არის ამ ასი ქარხნის შედეგად მიღებული ერთი მილიონი სამუშაო ადგილი; სად არის უფასო ფული“. აღნიშნა, რომ უამრავი სხვა დაპირებაც შეუძლია გაიხსენოს, მაგრამ არ ღირს დროის ხარჯვა, რადგან მმართველი პარტიის ყველა დაპირება არის ერთი და იგივე ტყუილი. მისი თქმით, ორი თვის წინ, კახა კალაძე თბილისელებს არ დაპირებია ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაორმაგებას, ავტომობილების მძღოლებს 50 ლარიანი პარკირების 800 ლარამდე გაზრდას და არა თუ რაიმე გაიაფდა, არამედ ორჯერ და სამჯერ გაძვირდა ყველაფრის ფასები. ზვიად კუპრავამ ასევე, ისაუბრა სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტზე, რომელიც, მისი თქმით, იყო დემოკრატიული და მიუკერძოებელი სტრუქტურა, თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ გააუქმა. აქედან გამომდინარე, მიმართა მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, რომ თუ ამ დღის წესრიგით მივდივართ და უარს ვამბობთ დემოკრატიაზე და ყველაფერ ნორმალურზე,

რაც სახელმწიფოს აშენებს, მაშინ გავაუქმოთ სახალხო დამცველის ინსტიტუტიც და პრეზიდენტის ინსტიტუტიც.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, უნდა წარმოედგინა თბილისის მერს, მაგრამ დღეს, კახა კალაძე არ მოვიდა საკრებულოში, რითიც გააკეთა განაცხადი, რომ პატივს არ სცემს არც წარმომადგენლობით ორგანოს და არც საკუთარი გუნდის წევრებს. ამასთანავე, მან დაარღვია საკრებულოს რეგლამენტი და მერიის წარმომადგენლებისგან მოითხოვა პასუხი, თუ რა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იყო დაკავებული თბილისის მერი, ვიდრე 2022 წლის ბიუჯეტის საკრებულოსთვის წარდგენაა. მისი თქმით, არავისთვისაა ახალი, რომ კორონავირუსის პანდემიის ფონზე, განსაკუთრებით დამძიმდა მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, დაიკარგა ათი ათასობით სამუშაო ადგილი, ბიზნესის 30% გაკოტრდა, ყველაფერი გაძვირდა და ამ დროს, „გაღარიბებული თბილისელების გამდიდრებულმა მერმა“ მიიღო გადაწყვეტილება ტრანსპორტის გაძვირების თაობაზე, რაც დღეს არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოქალაქეების წინაშე დანაშაულის ტოლფასია. მისი თქმით, გადასახადი ძვირდება იმიტომ, რომ უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, რომელსაც დედაქალაქში, რამდენიმე ადგილას, მათ შორის, ვაგზლის მოედანზე და მარჯანიშვილის მეტროს წინ, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გაცემული აქვს იჯარით საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად, რითიც ამცირებს ბიუჯეტის შემოსავალს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო კომპანიის საქმიანობაზე, აუდიტის სამსახურს 2020 წელს ძალიან მძიმე დასკვნა აქვს დადებული. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილების ტრაგიზმი და მერის მხრიდან ცინიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ წვდებიან საფასურის გადახდას, მოუწოდა მიმართონ ბანკებს. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების ცხრაწლიანი მმართველობა შეიძლება შევაფასოთ ისე, რომ ცხრა წლის თავზე, 250 ლარიანი ვალის შეთავაზების მეტი, არაფერი აქვთ მოქალაქეებისთვის სათქმელი“.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომას ესწრებიან თბილისის მთავრობის წარმომადგენლები და უმჯობესი იქნებოდა მათთვის მოგვესმინა, დაგვესვა კითხვები, გვემსჯელა და იქნებ სხვანაირად გაგვეაზრებინა, მათ შორის, ტრანსპორტის მიმართულებით წარმოდგენილი სიახლეები, თუმცა ეს ასე არ ხდება, რადგან ოპოზიციის ნაწილს სურს მოახდოს ეპატაჟი და შექმნას არეულობა, თითქოს, თბილისის მერია ჩადის დიდ დანაშაულს, რაც, მისი თქმით, მიუღებელია, რადგან ყველა ხედავს, თუ როგორ შეიცვალა და განვითარდა სატრანსპორტო პოლიტიკა დედაქალაქში, რაც აისახება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მოსახლეობა კარგად ხედავს იმ განსხვავებას, თუ როგორ ვცხოვრობდით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს და როგორ ვცხოვრობთ დღეს.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციას აღიზიანებს ყველაფერი ის, რაც ამ ქალაქს უფრო თანამედროვეს და დახვეწილს ხდის და გამოეხმაურა დასუფთავების მოსაკრებლის გაძვირებასთან გაკეთებულ კომენტარებს. მისი თქმით, აღნიშნული სახელმწიფოს გაცილებით ძვირი უჯდებოდა და ფაქტობრივად წარმოდგენილია რეალურ ხარჯთან გათანაბრება, თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლებს სურთ, რომ ეს საზოგადოებას დაანახონ ისე, თითქოს მერიის მხრიდან იდგმება კატასტროფული ნაბიჯი. ასევე, გამოეხმაურა ბარბარა ჯიმელი სულაშვილის განცხადებას, რომ მმართველი პარტიის წევრები ჩარჩენილები არიან ფეოდალიზმის ეპოქაში და მიმართა მას - „ფეოდალიზმი, ამ ქვეყანაში, დასრულდა 2012 წლის პირველ ოქტომბერს და მმართველობის ფეოდალური სტილი“. ასევე, გამოეხმაურა ადამიანის და ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და განაცხადა, რომ ამ უფლებების ფუნდამენტური დაცვა, სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო, ხოლო გაჟღერებული პრობლემები, სათავეს იღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდიდან.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია მთელი რიგი ახალი პროგრამები, მათ შორის ისეთი სოციალური საკითხები, როგორებიცაა: უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა, ავარიული მშენებლობების ჩანაცვლება, სოციალურად დაუცველი პენსიონერების უზრუნველყოფა მედიკამენტებისთვის განკუთვნილი ერთწლიანი, 500 ლარიანი ვაუჩერით და სხვა. მისი თქმით, მიმდინარე სხდომაზე გაჟღერებული იქნა არასწორი ინფორმაცია აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის ქვეპროგრამასთან დაკავშირებით, რომლის დაფინანსებაც არა თუ შემცირებული, არამედ გაზრდილია და ჩვენი დამოკიდებულებაც არის ის, რომ საჭიროების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება დაფინანსება, რისი ნათელი მაგალითია ის, რომ წლების განმავლობაში, მოთხოვნასთან ერთად, იზრდებოდა ბიუჯეტი და ეს, ასე გაგრძელდება. რაც შეეხება ბიუჯეტის შეფასებას, თითქოს ის არის პრემიების და დანამატების ბიუჯეტი, ოპოზიცია ყოველწლიურად ასე აფასებს მას, თუმცა 2014 წლიდან, საკრებულოზე არ გავრცელებულა არც ერთი პრემია და დანამატი. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით და დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების მიმართულებით მიმდინარეობს მათი დაკმაყოფილების პროექტები; კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ბიზნესს გაუწია მნიშვნელოვანი დახმარება სხვადასხვა მიმართულებით და ზოგადად, ხელისუფლების დამოკიდებულება, როგორც ბიზნესთან, ასევე, ფიზიკურ პირებთან მიმართებაში არის რადიკალურად განსხვავებული. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა განცხადებებს, რომლებიც ეხებოდა კახა კალაძის მიერ საკრებულოსთვის წლიური ანგარიშის წარდგენას და განაცხადა, რომ ოთხი წელია, ყოველი წლის ბოლოს, თბილისის მერი მოდის საკრებულოში და დეტალურად საუბრობს შესრულებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი, ფაქტობრივად, 2010 წლის ბიუჯეტია, შეცვლილი ციფრებით და ეს არის ბიუროკრატიული ბიუჯეტი. მისი თქმით, მაშინ, როდესაც თავს ვიწონებთ იმით, რომ ყველაფერი იაფდება და ევროკავშირს უარი ვუთხარით სესხზე, აზიური განვითარების ბანკიდან ვიღებთ სესხს 30000000 ევროს ოდენობით. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ ყველაფერი კარგად მიდის, მაშინ რატომ ვიღებთ ამ სესხს? კახა კალაძის და მისი გუნდის თბილისის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თითქმის მილიარდით არის გაზრდილი ვალი, რომელიც უნდა გადაიხადოს ჩვენმა მომავალმა თაობამ და ჩვენ ვსაუბრობთ სკვერებზე, რომლებიც კეთდება სესხის ფულით, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელია. მისი თქმით, ეს რომ კეთდებოდეს ბიუჯეტში შესული მოგების თანხით, მაშინ მართლა საამაყო იქნებოდა დღევანდელი ხელისუფლება და წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტსაც მხარს დაუჭერდა, მაგრამ, ეს ასე არ არის, ბიუჯეტი აწყობილია ბიუროკრატიაზე და მორგებულია არა მოსახლეობის საჭიროებებზე, არამედ, ხელისუფლების კარგად ყოფნაზე. მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ 59000 თბილისელი დარჩა უმუშევარი, 80000 ადამიანი წავიდა ქვეყნიდან ერთ წელიწადში, კორონავირუსით გარდაიცვალა 13000 ადამიანი და ამ ფონზე, როგორ ამბობს ვინმე, რომ ეკონომიკა ყვავის და თუ ყვავის, რატომ გარბის ხალხი ქვეყნიდან და მილიონი ამომრჩეველი რატომ არ აძლევს ხმას ხელისუფლებას? საუბრის ბოლოს, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაზე აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ არჩეულმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა დღეს აღიარა, რომ სააკაშვილი არის „პუტინის ტყვე“. მისი თქმით, „პუტინის ტყვეა“ საქართველოც და განაცხადა - „მე მინდა, რომ გამოვიდეთ რუსეთის ტყვეობიდან“.

გურამ ოქროპირიძემ ისაუბრა თბილისში პარკირების მიმართულებით განსახორციელებელ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ ტყუილია, თითქოს მოქალაქეებისთვის იზრდება პარკირების გადასახადი, რადგან 800 ლარიანი პაკეტი გათვალისწინებულია კონკრეტული იურიდიული პირებისთვის და ამასთანავე, მათ აქვთ არჩევანის თავისუფლება. მისი თქმით, იმ ბიზნეს სუბიექტებისთვის, რომლებიც ხშირად სარგებლობენ ამ სერვისით, ბევრად უფრო ეფექტური და შეღავათიანი იქნება აღნიშნული პაკეტით სარგებლობა. აქვე, ისაუბრა დასუფთავების

მოსაკრებელზე და აღნიშნა, რომ ნარჩენების 70% წარმოქმნილია იურიდიული პირების მიერ, რომლებიც იხდიან დაახლოებით ორჯერ ნაკლებ გადასახადს და ამ თანხას ასუბსიდირებს თბილისის მოსახლეობა. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა გადაიხადონ მოქალაქეებმა იმ ბიზნეს სუბიექტის დასუფთავების მოსაკრებლის თვითღირებულება, რომელსაც აქვს საკმაოდ სოლიდური შემოსავალი და მოგება. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან შემოდის მიზნობრივი სუბსიდია და იმ ბიზნესს, რომელსაც პანდემიამ მიაყენა ყველაზე მეტი ზიანი, დასუფთავების გადასახადი დაუსუბსიდირდება 1000 ლარის ოდენობით. გურამ ოქროპირიძემ ასევე, ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მიმართულებით წარმოდგენილ სიახლეზე, აღნიშნა, რომ ცვლილებები არ გავრცელდება შეღავათიანი მგზავრობის ტარიფებზე და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სარგებლობდნენ გარკვეული შეღავათებით, არაფერი შეიცვლება.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებაა კოვიდ პანდემიის კუთხით და განაცხადა, რომ თუ გაგვაჩნია სახელმწიფოებრივი აზროვნება და თუ ძალიან დაგვიანებული არ არის, საახალწლო ღონისძიებები უნდა შემცირდეს ან საერთოდ გაუქმდეს, რადგან 15 იანვრის შემდეგ გვექნება მე-5, მე-6 და მე-7 ტალღა ერთად აღებული და ის თანხა, რაც გამოყოფილია ამ მიმართულებით, მიზნობრივად მოვახმაროთ იმ ადამიანებს, ვისაც ყველაზე მეტად აქვს ამის საჭიროება.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, ძალიან მარტივია იყო ოპოზიციაში და აკეთო უპასუხისმგებლო განცხადებები, როდესაც არანაირი პასუხისმგებლობა არ გაქვს არც ამომრჩევლის და არც ქალაქის წინაშე. განაცხადა, რომ დედაქალაქელებისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც დაიწყო პანდემია და ჩვენს ქალაქს ყველაზე მეტად უჭირდა, ერთად დავდექით მთელი მუნიციპალიტეტი, გამგეობები და ყველა ის ადამიანი, ვისაც ოპოზიციის წარმომადგენლები კორუფციაში ადანაშაულებენ და უდიდესი შრომა გავწიეთ, როგორც ფიზიკური, ასევე, ფინანსური. ხოლო, ოპოზიციას არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ უხვი ნალექის მოსვლისას, დედაქალაქის მერს ადანაშაულებდა იმაში, რომ კონკრეტულ რაიონებში გუბეები დგებოდა. აქედან გამომდინარე, დღეს ცოტა უხერხულია დედაქალაქის პრობლემებით შეშფოთებულები და აღშფოთებულები რომ არიან. ამას ემატება ისიც, რომ თურმე, ბავშვებს, რომლებიც ისედაც დაისტრესნენ მთელი პანდემიის პერიოდის განმავლობაში, უნდა წავართვათ ახალი წელი. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს -„თბილისი ერთია. სხვა, მეორე დედაქალაქი არ არსებობს და როგორმე ვეცადოთ თანაბრად გადავინაწილოთ პასუხისმგებლობები ჩვენი ქალაქის წინაშე".

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი და ეს არის ბიუჯეტი, თუმცა ამ ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა და ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებულმა თემამ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია არა მარტო ამ დარბაზში, არამედ, მთელ ქალაქში და შესაბამისად, აღნიშნული საკითხიც გახდა არანაკლებ აქტუალური. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა წინადადებით, რომ დღევანდელი სხდომა მიეძღვნას თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, ხოლო ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებული საკითხი გადაიდოს სამომავლო განხილვისთვის იმ ვადით, რაც საჭირო იქნება საკითხის გარშემო გამოთქმულ არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებში კარგად გარკვევისთვის, მათ შორის, ქალაქის მერის ყოვლად გაუგებარ და მიუღებელ დამოკიდებულებაში მოსახლეობის მიმართ, რაც გამოხატა პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებით - „ვისაც ფული არ გაქვთ, მიბრძანდით ბანკებში".

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ დღეს, დედაქალაქის მერი არ იმყოფება საკრებულოში, რადგან, მისი თქმით, ბევრად უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ ქალაქის მერი და არც ვიცე-მერი არ გამოჩნდნენ მაშინ, როდესაც შუა

ქალაქში ჟურნალისტებს სცემდნენ და მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკძალვის გამო, ადამიანები სამსახურებში გადაადგილდებოდნენ ფეხით ან გამვირებული ტაქსით. ისაუბრა თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე და განაცხადა, რომ 2020 წელთან შედარებით, დაახლოებით 45%-ით გაზრდილია სახელფასო ხარჯები, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არის ის ბიუროკრატია და ის მოსყიდული ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე მხარს უჭერენ მათ, ვინც ხელფასებს უზრდის, რაშიც იხარჯება 87000000 ლარი. სწორედ ამით აიხსება ის, რომ კორონავირუსის პანდემიის დროს, ყველას შეუმცირდა შემოსავალი და მაინც და მაინც ამ ადამიანებს გაეზარდათ ხელფასები საარჩევნო წელს და მის შემდგომ. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ 50000000 ლარი იხარჯება კულტურის და სპორტის მიმართულებით, რომლის წარმომადგენლებიც გადაქცეული არიან ბიუროკრატებად - წინასაარჩევნოდ გამოდიან სახელისუფლებო გუნდის რეკლამებში, მხარს უჭერენ მათ, ხალხს მმართველი პარტიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ და მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს: „თქვენ გაზრდილი ბიუჯეტი საამაყო გგონიათ, მაგრამ ვერ ხვდებით, რომ ეს არის ხალხის ფული“.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი, პარკირების მიმართულებით არსებული სიახლე და ტრანსპორტის კუთხით ახალი გადახდის სისტემის შემოღება. მისი თქმით, ბიუჯეტი, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, არის უპრეცედენტო და ამასთანავე, ითვალისიწნებს თბილისის ყველა უბნის თანაბარ განვითარებას, რაც მისასალმებელია. პარკირების სისტემასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, თითქოს წლიური საფასური 50 ლარიდან 800 ლარამდე იზრდება, არის მიზანმიმართული სიცრუე. ხოლო, რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის ახალ სისტემას, ამასთან დაკავშირებით არსებულ სპეკულაციებს რომ დავუსვათ წერტილი, კარგი იქნება ვიცე-მერმა გააკეთოს განმარტება, ეზრდება თუ არა შემოსავალი სატრანსოპტო კომპანიას, ამ სისტემის შემოღების შემდეგ.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმების საკითხი მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში არ შედის, თუმცა, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი საუბრობს ინსტიტუციების დამოუკიდებლობაზე, საქმიანობის გამჭვირვალობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე, არ შეიძლება არ გახარებდეს და დასმულ კითხვებს პასუხი არ გასცე. აღნიშნა, რომ არის სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის დიდი გულშემატკივარი, მისი ხელმძღვანელის მიმართ აქვს ადამიანური სიმპატიები და დიდ პატივს სცემს, როგორც პროფესიონალს, თუმცა ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ ხდება ამ ინსტიტუტის გაუქმება, რადგან ამ ინსტიტუტიციის ბაზაზე იგეგმება ორი, ახალი ინსტიტუციის შექმნა, რაც ლოგიკურია იქიდან გამომდინარე, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის სტრუქტურები არ ითავსებენ იმ სამოხელეო დანაშაულების გამოძიების ფუნქციას, რასაც ითავსებდა სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი და მისი აზრით, ლოგიკური იქნებოდა, ეს ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხავებული ინსტიტუცია თავიდანვე მოქცეულიყო სხვადასხვა მანდატის ქვეშ.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საკითხები, თუმცა არ შეიძლება არ შევეხოთ იმ თემებს, რაზეც ოპოზიციონერმა კოლეგებმა სცადეს მოსახლეობის ყურადღების გადატანა. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობდნენ სხვა საქართველოზე, რადგან ახსენეს ევროატლანტიკური კურსი, თუმცა დაავიწყდათ, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ამოქმედდა უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეწარმეებს და სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება თავისუფალი ვაჭრობით გაიტანონ პროდუქცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, საქართველოს აქვს ორპარტიული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რაც უპრეცენტოა და საქართველოში ტარდება „ნატოს“ წვრთები, რომელიც აქამდე არასდროს

ჩატარებულა. გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის ქვეპროგრამაზე, რომლის დაგეგმვა მოხდა 2021 წლის რეალური ფაქტის მიხედვით და არა თუ შემცირებული, არამედ გაზრდილია დაფინანსება ამ მიმართულებით. მისი თქმით, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასევე, გაზრდილია დაფინანსება ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორებიცაა: ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების 500 ლარიანი ვაუჩერი, უსახლკაროების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროგრამა და სხვა. გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, სწორედ ამ გადაწყვეტილებების გამო დაუჭირა მხარი საზოგადოებამ „ქართულ ოცნებას" და განაცხადა, რომ „თბილისი და ჩვენი ქვეყანა გააგრძელებს მშვიდობიან განვითარებას".

ანა კაკაბაძე გამოეხმაურა მამუკა გუგეშაშვილის განცხადებას, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი არის 2010 წლის ბიუჯეტი შეცვლილი ციფრებით და ისაუბრა ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით არსებულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც დაიწყო 2010 წლის შემდეგ: 2015 წელს დაიწყო ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამა, ხოლო 2018 წელს - ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამა; 2020 წელს - გაფანტული სკლეროზის მკურნალობის პროგრამა; 2015 წელს - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის პროგრამა; 2016 წელს - ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა; 2016 წელს - ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების პროგრამა. ანა კაკაბაძე ასევე, გამოეხმაურა ყოფილი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ „ქართულ ოცნებას" აღებული აქვს რუსული კურსი, რომელზეც აპელირებენ ოპოზიციის წარმომადგენლები და მიმართა მათ - „მინდა შეგახსენოთ თქვენი ყოფილი ლიდერის, ბატონი ვაშაძის განცხადება, რომელმაც აღიარა, რომ „ქართული ოცნება" არ არის პრორუსული და მას სრულად უჭირავს პროდასავლური კურსი".

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე
თანამომხსენებლი: გაიოზ თალაკვაძე

3. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ პროექტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებლი: დავით ჯაიანი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებლი: დავით ჯაიანი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებლი: დავით ჯაიანი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებლი: ვასილ აბულაძე

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებლი: ვასილ აბულაძე

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ“.

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს, საკრებულოს წევრმა ლევან დოლიძემ, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა მას და აღნიშნა, რომ ლევან დოლიძეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ. იგი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ რამდენიმე განცხადებას, რომლებიც მისი თქმით, არასწორი ინფორმაციაა და მათთან დაკავშირებით გააკეთა განმარტებები. კერძოდ: არასწორია ინფორმაცია, თითქოს მუნიციპალიტეტმა კომპანია „city park“-ის გამოსყიდვაში გადაიხადა 25000000 ლარი; ასევე, არასწორია, თითქოს პარკირების 50 ლარიანი წლიური სააბონემენტო გადასახადი ხდება 800 ლარი; ადმინისტრაციული ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებზე, თითქოს ხელფასები იზრდება 45%-ით განმარტა, რომ თბილისის მერიის და საკრებულოს მიმართულებით ხარჯები ბევრი კომპონენტისგან შედგება, მათ შორის, არის სესხების მომსახურება და ყველაფრის ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირება, არასწორია; ასევე, არასწორია, თითქოს მცირდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება; არასწორია ინფორმაცია, თითქოს თბილისის სატრანსპორტო კომპანია, საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად აქირავებს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რადგან კომპანიას მეტროს ჩასასვლელებში ფართები გაქირავებული აქვს წვრილ მეწარმეებზე და არა თუ საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად, არამედ, პანდემიიდან გამომდინარე, ფასები არ გადავუხედეთ, იჯარები გავუზარდეთ, 2-2 წელი დავუმატეთ და საურავებისგან გავათავისუფლეთ, რადგან ამ ადამიანებს სჭირდებათ მხარდაჭერა; ასევე, არასწორია იმის თქმა, რომ ბიზნესს ეზრდება დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადი, რადგან ამ მიმართულებით, 17000000 ლარით სუბსიდირდება ბიზნეს სექტორი, რომელიც

ეწევა მომგებიან საქმიანობას და სწორედ მათთვის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისთვის იზრდება დასუფთავების მოსაკრებელი, ხოლო პანდემიის გამო დაზარალებულ ტურისტულ ობიექტებს ეძლევათ დასუფთავების მოსაკრებლის 1000 ლარიანი ვაუჩერი. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა თბილისის 2022 წლის ბიუჯეტზე და განმარტა, რომ თბილისში განსახორციელებელი პროგრამების და პროექტების ჯამი არის 1545000000 ლარი, საიდანაც საბიუჯეტო ნაწილია 1305000000 ლარი, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია, ხოლო დანარჩენი არის სესხის ნაწილი, რომელიც შეადგენს 240000000 ლარს. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არის: პრივატიზაცია - 75000000 ლარი; საგადასახადო შემოსავლები - 757000000 ლარი, მათ შორის 210000000 ლარი არის ქონების გადასახადი, ხოლო 547000000 ლარი არის დამატებითი ღირებულების გადასახადი; სპეციალური ტრანსფერი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აძლევს მუნიციპალიტეტს - 225000000 ლარი, რომელიც პირდაპირ მიმართულია პროექტებზე, ხოლო 43500000 ლარი მიმართულია დამატებითი ღირებულების გადასახადის მომსახურებაზე; სხვა შემოსავლები - 203000000 ლარი. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არის: საგზაო ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილია 87000000 ლარი, მათ შორის რაიონული საგზაო ინფრასტრუქტურისთვის - 52000000 ლარი, ხოლო ცენტრალური საგზაო ინფრასტრუქტურისთვის - 35000000 ლარი; სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება - 175000000 ლარი; ინფრასტრუქტურის სამუშაოები, კეთილმოწყობის და თბილისის განვითარების ფონდის მიმართულებით - 260000000 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - 167000000 ლარი; ჯანდაცვის მიმართულება - 176000000; განათლების მიმართულება - 208000000 ლარი, საიდანაც თანხის დიდი ნაწილი გათვალისწინებულია ბაღების მიმართულებით, კერძოდ, მუნიციპალური ბაგა-ბაღების დაფინანსების კუთხით - 145000000 ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებისთვის - 28000000 ლარი, რაც მოხმარდება ახალი ბაღების მშენებლობას და არსებულების რეაბილიტაციას; კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულება - 49000000 ლარი; მერიის და საკრებულოს მიმართულება - 133000000 ლარი, საიდანაც 32000000 ლარი არის სესხის მომსახურების თანხა; უსაფრთხოების, ცხოველთა მონიტორინგის მიმართულება - 505000000 ლარი. ირაკლი ხმალაძემ ასევე, ისაუბრა თუ რას მოხმარდება სესხის თანხა: მეტროს ახალი ვაგონების შესყიდვა - 100000000 ლარი; ახალი ავტობუსების შემოყვანა და ახალი ავტობაზების მშენებლობა - 60000000 ლარი; პირველი და მეორე ავტობაზის რეაბილიტაცია - 20000000 ლარი; ჭკვიანი შუქნიშნების პროგრამა - 20000000 ლარი; ნარჩენების მიმართულებით ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 30000000 ლარი; დიღმის ჭალების პარკის მოწყობა - 8000000 ლარი. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტში მინიმუმ 190000000 ლარი მოხმარდება გარდამავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ამავდროულად, მომავალ წელს, დაიწყება ახალი პროექტების განხორციელება, რომელთა ნაწილიც დასრულდება ამავე წელს და დეტალურად ისაუბრა აღნიშნულ პროექტებზე და მათ განსახორციელებლად გამოყოფილ თანხებზე. ირაკლი ხმალაძემ ასევე, ისაუბრა მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე. ტრანსპორტის მიმართულებით განსახორციელებელ რეფორმაზე განმარტა, რომ 2019 წელს შემუშავებული იქნა ახალი სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც შედგებოდა რამდენიმე პუნქტისგან - შეიქმნა ტრანსპორტის განვითარების გეგმა, ჩამოყალიბდა ქვეითზე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული სისტემა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, დაიწყო და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეტროს მიმართულებით ვაგონების რეაბილიტაცია, მთლიანად ჩანაცვლდა ავტობუსების პარკი, გაიზარდა ავტობუსების რაოდენობა, მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა მიკროავტობუსების პარკის განახლების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს ჩანაცვლდა 300 მიკროავტობუსი და ფაქტობრივად, შემოყვანილია კიდევ 700 ერთეული ახალი მიკროავტობუსი, რომლითაც სრულად ჩანაცვლდება ყვითელი მიკროავტობუსები. პარკირების რეფორმის ფარგლებში, განხორციელდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დანერგვა. განხორციელდა ასევე, ტაქსების რეფორმა, რომლის პირველი და მეორე ეტაპი დასრულებულია, ხოლო მესამე განხორციელდება მომდევნო წელს. ერთ-ერთი მიმართულება იყო ასევე, სააბონემენტო სისტემის შემოღება, რომლის შედეგადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფი არ

იზრდება, რადგან როდესაც იზრდება ტარიფი, ასევე, იზრდება ტარიფის მიმღები ორგანიზაციის შემოსავალიც, ხოლო ამ შემთხვევაში, თბილისის სატრანსპორტო სისტემაში გადახდების რაოდენობა მომავალ წელს იქნება იმდენივე, რამდენიც იყო წელს, შარშან და შარშანწინ და ეს თანხა არის 245000000 ლარი. მისი თქმით, როდესაც ვსაუბრობთ გაჭირვებულ მოსახლეობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ადამიანებისთვის, ვისაც ესაჭიროება დახმარება, არსებობს უფასო და შეღავათიანი მგზავრობის პროგრამები და ამ მიმართულებით არაფერი იცვლება. ამასთანავე, შეღავათიანი მგზავრობა ვრცელდებოდა მხოლოდ მეტროსა და ავტობუსზე, ხოლო ახალი სისტემით, ის გავრცელდება მიკროავტობუსებზეც. ირაკლი ხმალაძის თქმით, ოპოზიციის კრიტიკა აბონემენტთან დაკავშირებით მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, წარმოდგენილი რომ ყოფილიყო მხოლოდ ერთი, უალტერნატივო შემოთავაზება, თუმცა, ამ შემთხვევაში, შემოთავაზებულია შვიდი განსხვავებული პაკეტი და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეიძინოს მისთვის სასურველი. მისი თქმით, არსებული ინფორმაციის თანახმად, ერთი მგზავრის ყოველთვიური დანახარჯი საშუალოდ არის 42 ლარი და აქედან გამომდინარე, ერთთვიანი აბონემენტის ღირებულება არის 40 ლარი. ამასთანავე, შეღავათები გავრცელდება მიკროავტობუსებზე და ისინი ჩაერთვებიან საათნახევრიანი უფასო გადაჯდომის სისტემაში. ირაკლი ხმალაძემ დასუფთავების მოსაკრებლის ზრდასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტარიფი იზრდება ბიზნესისთვის და დაწესებულებებისთვის, ის არ ეხება საყოფაცხოვრებო სექტორს. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, დასუფთავების მიმართულებით საოპერაციო ხარჯები შეადგენს დაახლოებით 70000000 ლარს, მთლიანი დარიცხვა აბონენტებზე - 48000000 ლარს, მათ შორის 20000000 ლარი ერიცხება არასაყოფაცხოვრებო სექტორს, ხოლო 28000000 ლარი - საყოფაცხოვრებო სექტორს, რაც იმას ნიშნავს, რომ „თბილსერვის ჯგუფს" ბიზნეს სექტორის მომსახურება უფრო მეტი უჯდება, ვიდრე საყოფაცხოვრებო სექტორის. დღეს არსებული რეალობით, ბიზნეს სექტორის ნაწილი ამ მიმართულებით სუბსიდირებულია დაახლოებით 20000000 ლარით და ეს არის მუნიციპალიტეტის დაფინანსება ანუ მოქალაქეების მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხა, რაც თბილისის მთავრობას არ მიაჩნია სწორად და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ინიციატივა, რომ არასაყოფაცხოვრებო სექტორისთვის დასუფთავების მომსახურების საფასური ერთ კუბურ მეტრზე 15 ლარიდან გაიზარდოს 25 ლარამდე. ირაკლი ხმალაძემ ასევე, ისაუბრა ზონალურ-საათობრივი პარკირების მიმართულებით წარმოდგენილ სიახლეზე და განმარტა, რომ თბილისში არის ორი ტიპის პარკირების სივრცე: საათობრივი და არასაათობრივი. არასაათობრივ სივრცეებში წლიური საფასური არის და რჩება 50 ლარი, ხოლო საათობრივ სივრცეებში ტარიფი არ იცვლება, შემოდის ვადიანი აბონემენტების სისტემა და, რა თქმა უნდა, მისი შეძენა დამოკიდებულია თითოეული ადამიანის სურვილზე. ამ შემთხვევაში, შემოთავაზებულია რამდენიმე პაკეტი და აღსანიშნავია, რომ ამ სისტემით უფრო დაინტერესებული არიან იურიდიული პირები, რომლებისთვისაც უფრო კომფორტულია, შეიძინონ ვადიანი აბონემენტი და შეუზღუდავად ისარგებლონ პარკირების ადგილით.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ აქვს ორი წინადადება, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მიმართულებით წარმოდგენილ პროექტში. ესენია: პირველი - სააბონემენტო სისტემის შემოღების პარალელურად, გარკვეული პერიოდით, 6 თვით ან ერთი წლით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის ტარიფი დარჩეს ისევ 50 თეთრი. მეორე - არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიურად არ უწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა და შესაბამისად, მათთვის არცერთი აბონემენტი მისაღები არ არის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაწესდეს, ყოველკვირეული ლიმიტი, რომლის მიხედვითაც კვირაში გარკვეული რაოდენობით მგზავრობა ეღირება 50 თეთრი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია, ამ ეტაპზე, პროექტი დავამტკიცოთ წარმოდგენილი რედაქციით, თუმცა გავაგრძელოთ მუშაობა იმ მიმართულებით, თუ რა შეთავაზებები შეიძლება შემუშავდეს ამა თუ იმ კატეგორიის ადამიანებისთვის.

საკრებულოს წევრბემა კითხვებით მიმართეს ირაკლი ხმალაძეს.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ მონაწილეობას არ მიიღებს ბიუჯეტის დამტკიცების კენჭისყრაში, რადგან ის არ ეფუძნება რესურსების სამართლიანი განაწილების პრინციპს და არ გაგვაჩნია მისი კონტროლის რეალური ბერკეტი. ის, რომ თბილისის მერმა მზადყოფნაც კი არ გამოთქვა ფრაქციის ინიციატივაზე, შექმნილიყო ანტიკორუფციული დროებითი კომისია, რომელიც იქნებოდა ქმედითი ინსტრუმენტი კორუფციული რისკებისგან დასაზღვევად, ადასტურებს იმას, რომ კახა კალაძე შორსაა თბილისში ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის დანერგვისგან. ბიუჯეტის პროექტი, თუნდაც ნაწილობრივ, გადაქცეულია პარტიული აქტივის დასაქმების წყაროდ და მორგებულია საარჩევნო ციკლზე და არა მოქალაქეების რეალურ პრობლემებზე და ამას ადასტურებს ის, რომ 2022 წლის ბიუჯეტში შემცირებულია ინფრასტრუქტურაზე გათვლილი ხარჯები და გაზრდილია შრომითი ანაზღაურება, თუმცა, მათ შორის, არიან კეთილსინდისიერი საჯარო მოხელეები, რომელთა ხელფასის გაზრდის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. მისი თქმით, თბილისის მმართველობა ძალიან შორსაა ეფექტიანი მენეჯმენტისგან, რასაც, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ადასტურებს ისიც, რომ ჩვენი არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, თბილისის მერი არ გამოეხმაურა ჩვენს ინიციატივას და არც დღეს მოვიდა საკრებულოში, რომ თავად გაეცა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფის გაზრდას, რაც უმწვავესი პრობლემაა ჩვენი მოქალაქეებისთვის. საუბრის ბოლოს, გიორგი შარაშიძემ დააფიქსირა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ წევრების პოზიცია, რომ პროტესტის ნიშნად, ტოვებენ სხდომას და გაზრდილ ტარიფებზე, ბიუროკრატიაზე და ზოგადად, 2022 წლის ბიუჯეტზე სრულ პასუხისმგებლობას აკისრებენ „ქართული ოცნების“ უმრავლესობას, რომელიც დღეს, ერთპიროვნულად, გაუძვირებს ისედაც გაძვირებულ ცხოვრებას ჩვენს მოქალაქეებს. გიორგი შარაშიძის გამოსვლის შემდეგ, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ წევრებმა დატოვეს სხდომა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ 2022 ბიუჯეტის პროექტით, სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის, რომლების ქულა არის 200000 და ნაკლები, მედიკამენტებისთვის გათვალისწინებული 500 ლარიანი ვაუჩერისთვის გამოყოფილია 10000000 ლარი, თუმცა ზემოთ ხსენებული კატეგორიის პენსიონერების რაოდენობა არის 40000, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით განსაზღვრული თანხა ყოფნის მხოლოდ 20000 პენსიონერს და დაინტერესდა, რა სახსრებით ვაფინანსებთ დანარჩენ 20000 პენსიონერს. ასევე, დაინტერესდა, დიღმის ჭალების მიმართულებით გამოყოფილი 8000000 ლარი განკუთვნილია პროექტირებისთვის თუ შესასრულებელი სამუშაოებისთვის და თუ ეს თანხა განკუთვნილია პროექტის განხორციელებისთვის, საკმარისია თუ არა. აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის შიდა და გარე ვალი დაახლოებით მილიარდამდეა ასული, რომლის წლიური გადასახადი არის 11000000 ლარი და დაინტერესდა, რამდენი წელი დასჭირდება ამ ვალის გასტუმრებას და კიდევ რამდენი ვალი შეიძლება ავიღოთ. ლილე ლიპარტელიანი ასევე, დაინტერესდა ძვირდება თუ არა ტრანსპორტით მგზავრობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობენ დილას სამსახურში წასასვლელად და საღამოს სახლში დასაბრუნებლად და ასევე, შეძლებს თუ არა სარგებლობას ერთი და იმავე აბონემენტით რამდენიმე ადამიანი. გამოეხმაურა კახა კალაძის განცხადებას, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის აბონემენტის შეძენას საბანკო სესხით და განაცხადა, რომ 250 ლარიანი აბონემენტის საბანკო სესხით შეძენისას, აბონემენტის საფასურს ემატება ბანკის საკომისიო 74 ლარი და დაინტერესდა, რას შემოგვთავაზებს ამ შემთხვევაში კახა კალაძე. ლილე ლიპარტელიანი ასევე, დაინტერესდა: რამდენია ამ მომენტისთვის ბიუჯეტში აუთვისებელი თანხა, ვარკეთილის მეტროში განსახორციელებელი სამუშაოებისთვის არსებობს თუ არა პროექტი, რა პოზიცია აქვს ირაკლი ხმალაძეს სატყეო ზონისთვის სტატუსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კონკრეტულად რას მოიცავს საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული 14000000 ლარი, რა რეაგირება მოჰყვა თბილისის

სატრანსპორტო კომპანიისა და თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებით აუდიტის მიერ დადებულ დასკვნებს, რატომ კეთდება ავტობუსების მოსაცდელები ბიუჯეტის ფულით და რატომ არ ახორციელებს ამ სამუშაოებს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, როდის დასრულდება თბილისის დახაზვა, რა პირობებით და როდის იგეგმება პარკირების გასხვისება. ასევე, ითხოვა დეტალური ინფორმაციის მიწოდება, თუ რას მოიცავს „ეკოსერვისის" 30000000 ლარამდე ხარჯები.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ 2022 წლის ბიუჯეტით განხორციელდება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის ტენდენცია, რომ თბილისის ყველა უბანი განვითარდება თანაბრად, თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით შემცირებულია სამგორის რაიონის დაფინანსების წილი და დაინტერესდა, მომავალი წლის განმავლობაში რამდენად იქნება შესაძლებელი აღნიშნულის გამოსწორება.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ უსახლკარო ოჯახების დასაკმაყოფილებლად გამოყოფილია 50000000 ლარი. ქალაქის მერის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, წელიწადში უნდა დაკმაყოფილდეს 100 ოჯახი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული უსახლკარო ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის განკუთვნილია 50000 ლარი ანუ 17000 აშშ დოლარი. იქიდან გამომდინარე, რომ 17000 დოლარად შეუძლებელია თბილისში ბინის ყიდვა, დაინტერესდა, რა ტიპის ბინების გადაცემა იგეგმება ამ ადამიანებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ „შავ კარკასს და ნახევარფაბრიკატ" ბინებს არ გადასცემენ მათ, რადგან ეს არის ადამიანების ის კატეგორია, რომლებსაც შემოსავალი არ აქვთ. ვახტანგ სურგულაძე ასევე, დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისის მთავრობას ვაკის პარკის ჩანჩქერის და შადრევნის გაკეთება, როდესაც ქვეყანაში რეალურად დგას ისეთი პრობლემა, როგორიცაა ქუჩის ცხოველების თავშესაფრის არარსებობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ვაკის პარკის ჩანჩქერის და შადრევნის გასაკეთებლად გამოყოფილი 11000000 ლარი მიგვემართა ცხოველთა თავშესაფრის აშენებისკენ.

ცოტნე კობერიძემ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით წარმოდგენილ სიახლეზე განაცხადა, რომ ცხადია, ხდება რედისტრიბუცია, რადგან შემოსავლები რჩება იგივე და დაინტერესდა, რა არის ამ პროექტის მიზანი. ასევე, საინტერესოა, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის აბონემენტი არ იქნება სახელობითი, რამდენად შესაძლებელია ადამიანმა ამ კუთხით დაიწყოს ბიზნესი - შეიძინოს 250 ლარიანი აბონემენტი, დადგეს მეტროს შესასვლელში და გაატაროს სხვა ადამიანები, რისი მაგალითებიც დღეს მრავლად გვაქვს მეტრომანის ამ მიზნით გამოყენების კუთხით. აქვე, აღნიშნა, რომ ტრანსპორტის მიმართულებით განხოციელებული ცვლილებები გააძვირებს ტაქსით მომსახურების საფასურს და დაინტერესდა, კონკრეტულად რისი გაკეთება იგეგმება ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზე. ცოტნე კობერიძის თქმით, 2022 წლის ბიუჯეტში ეკონომიკური ხელშეწყობისთვის გამოყოფილია 1800000 ლარი და დაინტერესდა, რისთვის არის განკუთვნილი ეს თანხა და ისევე, როგორც შარშან, წელსაც ხომ არ დევს ამ თანხაში ბასიანის დაფინანსება.

ანა გოგოლაძე გამოეხმაურა ირაკლი ხმალაძის განცხადებას, რომ სატრანსპორტო კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მოიჯარეებისთვის, იჯარის ფასები არ გადაიხედა პანდემიის გამო და აღნიშნა, რომ 2013 წელს, მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარედ გაქირავდა ტერიტორიები, სადაც 1 კვ.მ.-ში იხდიან 1.21 ლარს და მიმართა ირაკლი ხმალაძეს, დაესახელებინა კიდევ სადმე ტერიტორია, სადაც 1 კვ.მ. ქირავდება 1.21 ლარად. ასევე, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორია, 700 კვ.მ.-მდე ფართი, მიუხედავად რეკომენდაციისა, რომ მომხდარიყო აუქციონის წესით გასხვისება, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 1 კვ.მ. 48 ლარად, გადაეცა შპს „ოქროს სავაჭრო ცენტრ მეგის" მაშინ, როდესაც აუდიტის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორიის 1 კვ.მ.-ს ფასია 82 ლარი და ამასთანავე, არც 2013 წელს, არც შემდგომ წლებში და არც 2018 წელს არ ყოფილა

კორონავირუსი. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ანაზღაურებადი დასაქმებული იყო 1100000 ადამიანი, რომელთა 70%-ს შემოსავალი ჰქონდა 600 ლარზე ნაკლები და როდესაც ვიცე-მერი აცხადებს, რომ თბილისის მერია ყველას, ვისაც უჭირს, უსუბსიდირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურს, საინტერესოა, თვლის თუ არა ირაკლი ხმალაძე, გაჭირვებულად იმ ადამიანს, ვისაც თვეში 600 ან 500 ლარი აქვს შემოსავალი. ანა გოგოლაძემ ასევე, განაცხადა, რომ 2017-2021 წლებში, ქალაქის მერს წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამა, საიდანაც ბევრი რამ არ შესრულდა, მათ შორის, საბაგიროების პროექტი: რუსთაველი-მთაწმინდა, სამგორი-ვაზისუბანი და დელისი-ნუცუბიძე; საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილი: დიდუბის და სამგორის დამაკავშირებელი დერეფნის ჩანაცვლება, მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელების აშენება, რომლებიც დააკავშირებდა გელოვანის გამზირსა და სამტრედიის ქუჩას და სხვა; რადოქალაქის მშენებლობა; სხვადასხვა მეტროსადგურებთან პარკირების სივრცეების მოწყობა და სხვა მრავალი დაპირება და დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული 2022 წლის ბიუჯეტში განუხორციელებელი დაპირებების შესრულება. განაცხადა, რომ ე.წ. „ხრუშჩოვკების" ჩანაცვლების პროექტით, სადაც 12000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს, გამოყოფილია 20000000 ლარი და დაინტერესდა, აღნიშნული თანხა განკუთვნილია მხოლოდ პროექტირებისთვის თუ დაგეგმილია სხვა ღონისძიებებიც და ზოგადად, ოთხი წლის განმავლობაში, რამდენი ოჯახის დაკმაყოფილებას აპირებს მერია ამ პროექტით.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართა ირაკლი ხმალაძეს: რა არის დაგეგმილი ბიზნესის სტიმულირების მიმართულებით; იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნეს სექტორისთვის და სხვადასხვა დაწესებულებებისთვის დასუფთავების მოსაკრებელი ერთ კუბურ მეტრზე გახდა 25 ლარის, საინტერესოა რა იგეგმება დანარჩენი თანხის გადახდის კუთხით - მუდმივად სუბსიდირებით იქნება დაფარული თუ კიდევ გაძვირდება აღნიშნული გადასახადი; როდესაც საუბარია იმაზე, რომ დასუფთავების მოსაკრებლის სისტემა შემუშავდა ერთთვიანი ქრონომეტრაჟის სისტემით, უნდა აღინიშნოს, რომ, ამა თუ იმ ბიზნეს სექტორში აბსოლუტურად განსხვავებული მონაცემები გვექნება სხვადასხვა თვეებში და აქედან გამომდინარე, რა დასკვნას გამოვიტანთ ერთთვიან მონაცემებზე დაყრდნობით; იქიდან გამომდინარე, რომ მიზანი არის ნარჩენების შემცირება, არსებობს თუ არა ამ მიმართულებით რაიმე წამახალისებელი მექანიზმი იმისთვის, რომ იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თავად იზრუნოს ნარჩენების შემცირებაზე და გადაყრის ნაცვლად, მიიტანოს იქ, სადაც მოხდება მისი გადამუშავება; მილიონ ლარზე მეტით შემცირებულია დაფინანსება გამწვანების მიმართულებით და იგეგმება თუ არა რაიმე გამხმარი ხეების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, რადგან აქ საუბარია არა სილამაზეზე, არამედ, ამ პრობლემით გამოწვეულ ეკოლოგიურ საფრთხეებზე.

მამუკა გუგეშაშვილმა გააჟღერა „ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლის ლაშა ჩხარტიშვილის შეკითხვა, რომელსაც აინტერესებს, უსახლკაროებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემისას დაცული იქნება თუ არა თანმიმდევრობა, რადგან არსებობენ ისეთი უსახლკარო ადამიანები, რომლებიც არიან, თუნდაც, ალკოჰოლდამოკიდებულები და ასეთ ადამიანებში გაცილებით მაღალია ლეტალობის მაჩვენებელი. მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძის თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფის გაძვირებით, არ იზრდება სატრანსპორტო კომპანიის შემოსავალი და დაინტერესდა, რა აზრი აქვს ამ რეფორმას და აბონემენტების სისტემა უწყობს თუ არა ხელს მგზავრობა გაუიაფდეთ შედარებით შეძლებულ ადამიანებს და დაიჩაგრონ უფრო გაჭირვებულები. ისაუბრა დასუფთავების მოსაკრებლის გაძვირებაზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გათვალისწინებული 1000 ლარიანი ვაუჩერი, კოვიდ პანდემიის გამო ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორისთვის, მათ შორის, რესტორნებისთვის ფაქტობრივად არანაირი შეღავათი არ არის და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად სწორია დღეს დასუფთავების გადასახადის გაძვირება და რატომ არ გაძვირდა ის საარჩევნო წლის განმავლობაში. მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებში საკვები პროდუქტებით

მომარაგებას ემსახურება ორი კომპანია, რომლებსაც ბაღებში შეაქვთ რუსეთიდან შემოტანილი ფილე, რაშიც საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება და რატომ არ შეიძლება, რომ ბაღების მომარაგება მოხდეს ადგილობრივი პროდუქტით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი თანამოქალაქეების დასაქმებას. მისი თქმით, კოვიდ პანდემიის პერიოდში, როდესაც ბაღები იყო დაკეტილი, ბავშვებს ეძლეოდათ მზა პროდუქტები, ხოლო დღეის მდგომარეობით საბავშვო ბაღში ყოველდღიურად დადის დაახლოებით 12000 ბავშვი და შესაბამისად, დანარჩენი ბავშვები ვერ იღებენ პროდუქტს. შესაბამისად, 3000000 ლარიდან ათვისებულია 700000 ლარი და დაინტერესდა, სად წავიდა დანარჩენი 2300000 ლარი.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესწორებული პროექტი 105000000 ლარით არის გაზრდილი, ვიდრე ის იყო წარმოდგენილი პირვანდელი პროექტის სახით, რომელიც მერიას, თავისთავად მოსწონდა და სურვილის არსებობის შემთხვევაში, შეეძლო, თუნდაც ამ 105000000 ლარის ხარჯზე, მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებული რეფორმის შესაგუებლად მიეცა გარკვეული საშეღავათო პერიოდი და დაინტერესდა, რატომ არ იზრუნა ამაზე მერიამ. როდესაც ბიუჯეტი იზრდება 105000000 ლარით, ხოლო უფასო სასადილოებით მოსარგებლე ადამიანების კვების რაციონი განსაზღვრულია 1.70 ლარით, რატომ არ იზრუნა მერიამ იმაზე, რომ დაფინანსება გაეზარდა ამ მიმართულებით და უფასო სასადილოებით მოსარგებლე ბენეფიციარები გადაეყვანა მშრალ კვებაზე, რაც მათთვისაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა და აღარც იმდენი საჭმელი გადაიყრებოდა, რაც დღეს. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ქალაქში რაღაცები კეთდება, მათ შორის, სკვერები, სტადიონები და სხვა, თუმცა ეს ყველაფერი მისასალმებელი და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ კეთდებოდეს ერთი მილიარდი ვალის აღების გარეშე და დაინტერესდა, იმ ფონზე, როდესაც ეს ვალი არათუ იკლებს, არამედ ყოველწლიურად იმატებს, რისი ნათელი მაგალითიცაა ის, რომ 2012 წლიდან დღემდე ვალის მოცულობა ოთხმოცდაოთხი მილიონიდან გაიზარდა ერთ მილიარდამდე, თბილისის მერია ხომ არ ფიქრობს, რომ უნდა შეჩერდეს ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლების, თუნდაც, თანადაფინანსება ვერ ხერხდება ბიუჯეტიდან, რადგან ამ თანხის გადახდა ძალიან მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს მომავალ თაობას.

ნინო კვიტაიშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართა ირაკლი ხმალაძეს: შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის ტარიფი გავრცელდეს ისეთ სეგმენტზე, ვისი შრომის ანაზღაურება არის მხოლოდ რამდენიმე ასეული ლარი, მაგალითად რიგითი ბიბლიოთეკარები ან აღნიშნული არის თუ არა ბმაში ოჯახის საშუალო შემოსავალთან; რას უკავშირდება პროგრამის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკები ქალაქის ყველა უბანში" დაფინანსების შემცირება; რატომ არის განსხვავებული დაფინანსება სპორტისა და სახელოვნებო მიმართულებებს შორის და ეფუძნება თუ არა რაიმე კვლევას ამ მიმართულებებით დაგეგმილი ბიუჯეტი; რა კვლევას ეფუძნება სტუდენტთა წახალისების პროგრამის დაფინანსება, რა თქმა უნდა, არ იგულისხმებიან სოციალურად დაუცველი სტუდენტები, როდესაც ფინანსდებიან მაგისტრატურის და დოქტურანტურის წარმატებული სტუდენტები, თუმცა არ ფინანსდებიან ბაკალავრები - სტუდენტების ყველაზე მოწყვლადი ფენა; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე აბილიტაციის პროგრამაში თანხა შემცირებულია 200000 ათასი ლარით და თუ არა ამ მიმართულებით დაფინანსების კლება, მაშინ რა არის ეს თანხა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის განმავლობაში, საბავშვო ბაღებისთვის შეძენილი იქნა 17000000 ლარის ღირებულების რძე, რომელიც დამზადებულია შემოტანილი რძის ფხვნილისგან, რაც ერთი ბავშვისთვის დაჯდა დაახლოებით 3.80 ლარი, ხოლო ბათუმში, ასევე, ბაგა-ბაღებში, ადგილობრივი წარმოების საღი რძე დაჯდა 3.00 ლარი. მისი თქმით, აღნიშნული შესაძლებელია გამოწვეული იყოს არაკვალიფიციური მართვით ან შესაძლო დანაშაულით, რაც შეიძლება მოგვარდეს თუ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩავწერთ, რომ რძე, რომელსაც შეისყიდის ბაგა-ბაღების გაერთიანება, დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივი, საღი რძისგან. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანსაღი

კვება, დაინტერესდა, მომავალ წელსაც ვაპირებთ, რომ რძის ფხვნილისგან დამზადებული რძე ვიყიდოთ უფრო ძვირად, ვიდრე ადგილობრივი წარმოების საღი რძე? აქვე დაინტერესდა, არსებობს თუ არა თბილისში მარტოხელა დედების სოციალური ჯგუფი და იცის თუ არა თბილისის მერიამ რამდენი მარტოხელა დედა ცხოვრობს დღეს დედაქალაქში, რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტის დახმარებას და რას აკეთებს სპეციფიურად ამ ჯგუფისთვის. საბა ბუამის თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფის გაზრდის და დასუფთავების მოსაკრებლის გაძვირების საკითხები მერიის წარმომადგენლებმა არასწორი ფორმით გამოიტანეს და იმისთვის, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მინიმუმამდე შევამციროთ პოლიტიკური სპეკულაციის რესურსი, აუცილებელია გადაწყვეტილებები გამოდიოდეს ფართო საზოგადოებრივი განხილვით, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ჯგუფს ექნება მსჯელობის საშუალება. აღნიშნა, რომ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივი ტრანსპროტით მგზავრობისთვის ერთი ადამიანის საშუალო დანახარჯი თვეში შეადგენს 42 ლარს და დაინტერესდა, დათვლილია თუ არა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისთვისად დღიური დანახარჯი არის ერთი ლარი ანუ ვისთვისაც ყოველთვიური დანახარჯი გამოდის 24-დან 30 ლარამდე და თვლის თუ არა თბილისის მთავრობა, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დილას მიდიან სამსახურში და საღამოს ბრუნდებიან სახლში, გაძვირდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზვრობა. განაცხადა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით შემცირებულია ქონების გადასახდიდან მიღებული შემოსავალი და დაინტერესდა, იმ ფონზე, როდესაც პრემიერმინისტრი თავს იწონებს, რომ ორმაგი და თითქმის სამმაგი ეკონომიკური ზრდა არის, რატომ ხდება ისე, რომ ქონების გადასახადის სახით, 6000000 ლარით ნაკლები შემოსავალი უნდა მიიღოს დედაქალაქის ბიუჯეტმა.

ალექსანდრე რატიშვილმა განაცხადა, რომ მიესალმება შრომის ანაზღაურების მატებას, რადგან ეს ძალიან კარგია, თუმცა მნიშვნელოვანია, სად და რა რგოლებში ხდება ხელფასების ზრდა და დაინტერესდა, მაშინ, როდესაც დამლაგებლების, თეატრის მსახიობების, საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ხელფასები 200-250 ლარია, არის თუ არა 2022 წლის ბიუჯეტის 13000000 მილიონის დანამატში გათვალისწინებული ამ და სხვა დაბალი კატეგორიის მოსამსახურეების ხელფასების მატება და რამდენით. აქვე აღნიშნა, საქართველოში კანონით გათვალისწინებული მინიმალური ხელფასი არის 20 ლარი, რომელიც დადგინდა 1998 წელს, რაც, მისი თქმით, სამარცხვინოა და მართალია, აღნიშნული ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა, კარგი იქნება, საკრებულომ, თბილისის ფორმატში, ბიზნეს წრეებთან და ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად, დაიწყოს ამ მიმართულებით ფართო საზოგადოებრივი მსჯელობა, რათა ქვეყანაში დადგენილი მინიმალური ხელფასის საკითხი ღირსეულად მოგვარდეს. ალექსანდრე რატიშვილმა ასევე, ისაუბრა აუდიტის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც ძალიან უარყოფითად არის შეფასებული თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის და ზოგადად, მენეჯმენტის საკითხები. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს ავტობაზების გარემონტების დროს არაეფექტურად და არასწორად დახარჯულ უამრავ თანხაზე და იქიდან გამომდინარე, რომ კვლავ დაგეგმილია ამ ავტობაზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, დაინტერესდა, რა მსვლელობა მიეცა ზემოთ ხსენებულ აუდიტის დასკვნას, ვის მოეთხოვა პასუხი, რა სახსრებით და რა დასაბუთებით ხდება თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა ისევ იგივე სამუშაოების განსახორციელებლად.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ 2022 წლიდან იწყება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება - ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რისთვისაც ბიუჯეტში განსაზღვრულია 20000000 ლარი და იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით მოთხოვნა ძალიან დიდია, დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ამ კუხით მოხდეს დაფინანსების გაზრდა.

ირაკლი ხმალაძემ, ანდრია ბასილაიამ და ილია ელოშვილმა უპასუხეს საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ირაკლი ხმალაძემ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფის გაძვირების 6 თვით ან ერთი წლით გადავადებაზე განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკურად შესაძლებელია, თუმცა ეს დაკავშირებული იქნება შემოსავლების მკვეთრად შემცირებასთან და იმ ფონზე, როდესაც ამ ცვლილებით დაგეგმილი არ არის ზრდა, მუნიციპალიტეტი ვეღარ შეძლებს მოქალაქეებს მოემსახუროს სხვადასხვა მუნიციპალური სერვისებით და აქედან გამომდინარე, ტარიფის უცვლელად დატოვება არ იქნება სწორი. სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების 500 ლარიან ვაუჩერზე განმარტა, რომ პენსიონერთა რაოდენობა არის 40000, თუმცა ეს არის ვაუჩერული პროგრამა, რომლით სარგებლობაც ნებაყოფლობითია და თუ ბენეფიციარები სრული მასშტაბით ისარგებლებენ ამ პროექტით, წლის განმავლობაში წარმოშობილი ეკონომიებით და გაზრდილი შემოსავლებით, დავამატებთ კიდევ 10000000 ლარს. დიღმის ჭალების მიმართულებით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობაზე განმარტა, რომ ის გათვალისწინებულია სამუშაოების დასაფინანსებლად. რაც შეეხება შეკითხვას, გაძვირდება თუ არა მგზავრობის საფასური იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად მხოლოდ ორჯერ იყენებენ მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებას, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი ტრანსპორტით მგზავრობენ ეს ადამიანები და უწევთ თუ არა გადაჯდომა. მისი თქმით, ამ მიმართულებით არ იზრდება მოსახლეობიდან ამოსაღები თანხის ოდენობა, ცვლილებები განხორციელდა გადახდის სისტემაში, რამაც, თავისთავად, გამოიწვია გარკვეული ცვლილებები სხვადასხვა კატეგორიებში. აქვე, უპასუხა შეკითხვას, თუ რას ემსახურება წარმოდგენილი ცვლილებები იმ ფონზე, როდესაც არ იზრდება შემოსავალი და ამ ცვლილებების შედეგად, ხომ არ წახალისდებიან შედარებით შეძლებული მომხმარებლები და დაიჩაგრებიან უფრო გაჭირვებული ადამიანები და განმარტა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მიმართულებით არის უამრავი შეღავათიანი კატეგორია და თუ დავუკვირდებით, რა პრინციპებზეა აგებული სააბონემენტო სისტემა, დავინახავთ, რომ შეძლებული და გაჭირვებული კი არა, წახალისებულია აქტიური მომხმარებელი, რაც არის სწორი და აპრობირებული ყველა განვითარებულ ქალაქში. რაც შეეხება 250 ლარიანი აბონემენტის ბანკის სესხით შეძენას, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც უფრო იაფი გამოდის მგზავრობის წლიური საფასური, ვიდრე ის არის დღეს. უსახლკაროების პრობლემასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ 2022 წელს გათვალისწინებულია 65 ოჯახის დაკმაყოფილება და შესაბამისად, საშუალო დანახარჯი ერთ ოჯახზე გამოდის 25000 აშშ დოლარი, თუმცა ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქონება, რომელიც სარგებლობის უფლებით გადაეცემა უსახლკარო სტატუსის მქონე ადამიანებს, არის მუნიციპალური. ხოლო, რაც შეეხება ამ მიმართულებით თანმიმდევრობის დაცვას, აღნიშნა, რომ ამ ადამინებს მინიჭებული აქვთ სტატუსი და რიგითობის დაცვის პრინციპი დაგეგმილია ამ სტატუსის მინიჭების თარიღის მიხედვით, თუმცა, თუ ამ მიმართულებით იქნება რაიმე სხვა უკეთესი მოსაზრება, შესაძლებელი იქნება მსჯელობა და კორექტირების შეტანა პრიორიტეტების განსაზღვრის თუ გამონაკლისების დადგენის კუთხით, რათა თანმიმდევრობა იყოს სამართლიანი. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორია ვაკის პარკის შადრევნის და კასკადისთვის 11000000 ლარის გამოყოფა, აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ყველას თავის მოსაზრება აქვს და შესაძლებელია ვერასდროს იქნას მიღწეული კონსენსუსი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ გუნდმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამ პროგრამით და იდეებით, რაზეც მოსახლეობის მხრიდან მიიღო მხარდაჭერა და აქედან გამომდინარე, მისთვის ეს არის იმის განაპირობებელი ფაქტორი, თუ რამდენად სწორია ვაკის პარკის კასკადის აღდგენა. აღნიშნა, რომ ტრანსპორტის აბონემენტი არ არის სახელობითი და შესაძლებელია ისარგებლოს ოჯახის წევრმაც ან ნებისმიერმა ადამიანმა, თუმცა, იყიდო 250 ლარიანი ვაუჩერი და დაიწყო ბიზნესის კეთება, შეუძლებელია, რადგან ბარათს აქვს გარკვეული ტექნიკური შეზღუდვები, რაც ამცირებს ამის შესაძლებლობას. თუმცა, თუ გამოვლინდება მსგავსი შემთხვევები და ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ

მეტროპოლიტენში, შესაძლებელია დამატებითი ადმინისტრაციული მექანიზმების ამოქმედება, რათა დავაზღვიოთ მსგავსი შემთხვევები. რაც შეეხება ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპს, აღნიშნა, რომ ორიენტირებულია შეიქმნას უფრო სტაბილური ეკონომიკური პირობები ამ ბაზარზე მომუშავე პირებისთვის და გაიზარდოს მომსახურების ხარისხი. აქვე განაცხადა, რომ ამ მიმართულებით კომუნიკაცია გაიხსნება მომდევნო წლიდან და ყველასთვის ცნობილი იქნება, რეფორმის მესამე ფაზით გათვალისწინებული დეტალები. სატრანსპორტო კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის თანხაზე განაცხადა, რომ, მაშინ, როდესაც ორი წლის განმავლობაში, დაუგეგმავად, წვრილ მეწარმეებს მოუწიათ რთულ პირობებში ოპერირება, მათთვის საიჯარო ქირის გადახედვა, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილი არ არის. აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ბიზნესის მხარდაჭერის პროექტები, რომლის მიხედვითაც მუნიციპალური ქონების მოიჯარეებს უწესდება დამატებითი შეღავათები. რაც შეეხება იმას, თვლის თუ არა 500-600 ლარიანი შემოსავლის მქონე ადამიანს გაჭირვებულად, განაცხადა, რომ მის აზრს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და ნებისმიერ დროს შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, რომ მერია დაეხმაროს ყველა იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. შეუსრულებელ დაპირებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქალაქის მერმა თავად ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა და არავინ გაურბის იმაზე საუბარს, რომ დღეს, თბილისში ბევრი გაჭირვებული ადამიანია და არის გარკვეული შეუსრულებელი პროექტები. მისი თქმით, 2020 წელს, პანდემიის პერიოდიდან გამომდინარე, თბილისის ბიუჯეტი შემცირდა თითქმის 20000000 ლარით და შესაბამისად, თბილისის მერიამ ვერ შეძლო ბევრი პროექტის განხორციელება, თუმცა მთავარია ის, რომ ამ პროექტების განხორციელებაზე უარი არ უთქვამს ხელისუფლებას და ამ ორწლიანი მოცდენილი პერიოდის გამო, დროში გადაიწია, მათ შორის ბაგების და მაღლივის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობამ, რომლის განხორციელებაც მოხდება მომავალ წელს. რაც შეეხება სამტრედიის ქუჩის ხიდს და ამ კომპლექსს, უკვე სრულდება გელოვანის გამზირის და მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, შემდეგი ფაზა არის გელოვანის გზაგამტარი, რომელიც უკვე დაპროექტებულია და შემდეგი ეტაპია სამტრედიის ქუჩის ხიდის მშენებლობა. რაც შეეხება ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლებას, ეს არის ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რისთვისაც პირველ წელს გათვალისწინებულია 20000000 ლარი. ამ მიმართულებით, არავის უთქვამს, რომ ოთხ წელიწადში სრულად მოხერხდებოდა ქალაქში არსებული ავარიული სახლების ჩანაცვლება. მისი თქმით, ეს არის პრობლემა, რომელზეც მუნიციპალიტეტმა მუდმივად უნდა იმუშაოს, რადგან სახლი, რომელიც დღეს არ არის ავარიული, შესაძლებელია ათი წლის შემდეგ იყოს ავარიული და მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს ამ პრობლემის მოგვარების გეგმა. დასუფთავების მოსაკრებლის სამომავლო სუბსიდირებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ დღევანდელი შემოთავაზებული ცვლილებაც კი ვერ ახდენს ბოლომდე იმ საოპერაციო ხარჯების დაბალანსებას, რომელიც დღეს „თბილსერვის ჯგუფს“ გააჩნია, მაგრამ, ამ ეტაპზე წარმოდგენილი 17000000-იანი სუბსიდიის მოხსნა არის მაქსიმუმი, ხოლო, ზოგადად, ამ მიმართულებით სწორი სისტემის ჩამოყალიბება, მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმული სწორი ნაბიჯია. რაც შეეხება ამ მხრივ არსებულ ერთი თვის მონაცემებს, ეს არის საშუალო ზრდა თითოეულ აბონენტზე, თუმცა, სხვადასხვა კატეგორიის აბონენტს დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხება სხვადასხვა მეთოდოლოგიით. საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე განმარტა, რომ ამ ვალს იღებს ფინანსთა სამინისტრო თბილისის მუნიციპალიტეტისთვის და შესაბამისად, მისი მხრიდან, ამ მიმართულებით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა ფინანსთა სამინისტროს გარეშე, მიზანშეწონილი არ იქნება. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ჩატარდება ავტობაზების რეაბილიტაცია-მშენებლობის პროცესი, განმარტა, რომ ეს არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსება, შესყიდვები ჩატარდება ამავე ბანკის წესების შესაბამისად და მონიტორინგსაც თავად განახორციელებს. განაცხადა, რომ შესაძლებელია ერთ დროს რაღაც არასწორად გაკეთდა, მაგრამ ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ და არა ის, რომ აღარ გავაკეთოთ ეს საქმე. მისი თქმით, მერიამ თუ როდესმე მიიღო აუდიტის დასკვნა, რომლის თანახმადაც რაღაც არასწორად გაკეთდა,

ყოველთვის გათვალისწინებული იქნა შენიშვნები. საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბაზისო ხელფასი დადგენილი იყო 1000 ლარის ოდენობით, თუმცა, ამასთანავე, ყველა კატეგორიას აქვს თავისი კოეფიციენტი, რომელზე ნამრავლიც გამოდის ხელფასის დასარიცხი რაოდენობა. ცვლილება შევიდა საბაზისო ხელფასში და გახდა 1100 ლარი, ხოლო კოეფიციენტი დარჩა იგივე და შესაბამისად, ყველა კატეგორიისთვის ხელფასის ზრდა გამოდის 10%-ით, გარდა მუნიციპალიტეტში დასაქმებული დაბალანაზღაურებადი სეგმენტისა, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ხელფასის ზრდა მომხდარიყო 10%-ზე მეტი ოდენობით, რათა ამ ადამიანებისთვის შრომის ანაზღაურების მატებას ჰქონოდა მეტი შინაარსი. აქვე აღნიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მომდევნო წლებისთვის, შრომის ანაზღაურების მიმართულებით განისაზღვრა პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველწლიურად, პირველ ივლისამდე ფინანსთა სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს ხელფასის ზრდის მეთოდოლოგია, რომელიც კავშირში იქნება კერძო სექტორში არსებულ ზრდის განაკვეთთან და მას უნდა მიეგას საჯარო სექტორში ხელფასის მატება. თბილისის რაიონულ გამგეობებში თანხების გადანაწილებაზე განაცხადა, რომ მისი აზრით, თანხა სხვა კრიტერიუმებით უნდა ნაწილდებოდეს და კარგი იქნება შემუშავებული იქნას რაიონებში თანხის განაწილების უფრო სამართლიანი პრინციპი. ქონების გადასახადის კლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქონების გადასახადი საწყის ბიუჯეტში განისაზღვრება ერთი ოდენობით და შემდგომ, შემოსავლების დინამიკასთან ერთად, იცვლება წლის განმავლობაში. მიმდინარე წლის აუთვისებელ თანხებზე განმარტა, რომ შესაძლებელია თავისუფალი ნაშთი იყოს დაახლოებით 20000000 ლარი. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული 14000000 ლარი არის ის თანხა, რომელიც ეკონომიებიდან, სუბსიდიის სახით, მიმდინარე საოპერაციო ხარჯების გასტუმრების მიზნით, შეტანილი იქნა სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში. ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჭერის ჩამონგრევა მოხდა იმიტომ, რომ გეგმარება და კონსტრუქციების მონტაჟი იყო არასწორი და იგივე რომ არ განმეორდეს, პროექტირებასთან ერთად, საჭირო გახდა არსებული კონსტრუქციების და მდგრადობის შესწავლა და სხვადასხვა საპროექტო გადაწყვეტების მათზე მორგება. ამის შემდგომ, თითოეულ ეტაპზე გაკეთდა ექსპერტიზა და ამ მიმართულებით მომუშავე ექსპერტების სიმცირიდან გამომდინარე, აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდა მოკლე დროში. ამ ეტაპზე გვაქვს ის მდგომარეობა, რომ რამდენიმე კვირაში დასრულდება საპროექტო სამუშაოების ექსპერტიზაც და შევძლებთ ხელშეკრულების დადებას სამუშაოების შესრულების შესყიდვაზე. ავტობუსების მოსაცდელებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კომპანია „ალმას“ ვალდებულება იყო 700 ერთეული მოსაცდელის მოწყობა და კომპანიამ შეასრულა თავის ვალდებულება, თუმცა მუნიციპალიტეტს სჭირდება გაცილებით მეტი მოსაცდელი და 100 ერთეული მოსაცდელის მოწყობაზე აცხადებს ტენდერს. პარკირების გასხვისებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ანდრია ბასილაიამ დიღმის ჭალების პროექტზე განმარტა, რომ სამუშაოებს განახორციელებს თბილისის განვითარების ფონდი, ჯამური ბიუჯეტი იქნება 5300000 დოლარი. დაახლოებით მაისის თვეში, აზიის განვითარების ბანკიდან ველოდებით საერთაშორისო კონსულტანტის შერჩევას, რის შემდეგაც მოხდება უშუალოდ სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადება და სამუშაოების დაწყებიდან, მაქსიმუმ ორ წელიწადში პროექტი იქნება დასრულებული. მისი თქმით, ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ ვაკის პარკის კასკადის და თუნდაც სკვერების მოწყობა არის ფუფუნება, რადგან აღნიშნული, ისევე, როგორც მწვანე სივრცეების მოწყობა, იყო „ქართული ოცნების“ გუნდის დაპირება და კვლავ დარჩება ერთ-ერთ პრიორიტეტად. აქვე, განაცხადა, რომ ვაკის პარკი არის ძეგლის სტატუსის მქონე პარკი, ისევე, როგორც ვერის პარკი და ორივეს რეაბილიტაცია თბილისის მთავრობისთვის არის პრიორიტეტი. რაც შეეხება ე.წ. მაწანწალა ცხოველებს, აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არსებობს როგორც დედაქალაქში, ასევე, მთელ ქვეყანაში და სამწუხაროდ, თავშესაფრის მოწყობა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, რადგან თბილისში, დღეის მდგომარეობით არის დაახლოებით

30-40 ათასი ე.წ. მაწანწალა ცხოველი და ამ მასშტაბის თავშესაფრის აშენება არაპრაქტიკულია. ამ მიმართულებით გადადგმულია ნაბიჯები და მომავალ წელს, პირველივე შესაძლებლობისთანავე მერია დააინიცირებს ცვლილებებს ცხოველების შესახებ კანონში და ყველას, ვისაც სურვილი ექნება, მოუწოდა აქტიურად ჩაერთოს კანონპროექტის შემუშავების პროცესში. მისი თქმით, თუ არ გაკონტროლდა ცხოველის ყოლის წესი, რეგისტრაცია და ა.შ., ვერანაირი თავშესაფარი ვერ გადაჭრის ამ პრობლემას. ხოლო, თუ კანონის მიღების შემდეგ იქნება თვშესაფრის აშენების საჭიროება, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული და განხორციელებული მომავალ წლებში. ეკონომიკური განვითარების კუთხით დასმულ შეკითხვებზე აღნიშნა, რომ 1800000 ლარი არ არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება დიდი ეკონომიკის სტიმულირება და ამიტომ აღებულია ორი ძირითადი მიმართულება: ტურიზმი და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ზემოთ ხსენებული თანხა სწორედ ამ მიმართულებებით იქნება დახარჯული. მისი თქმით, ამ თანხაში გათვალისწინებული არ არის ბასიანის დაფინანსება, რადგან ეს იყო ერთჯერადი დახმარება, გაიცა შარშან და დაფინანსდა არა მხოლოდ ბასიანი, არამედ ელექტრონული მუსიკის სცენაში ჩართული სივრცეები, მცირე ზომის რესტორნები, კაფეები და საბავშვო ცენტრები. ხმობად ხეებზე აღნიშნა, რომ ძალიან აქტუალური პრობლემაა და თბილისის მთავრობამ, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, მთაწმინდის ფერდზე დამუშავდა ასობით ჰექტარი, ხოლო შემდეგი ეტაპი იქნება ამ ფერდების რეკულტივაცია. განაცხადა, რომ „ჩვენი ერთ-ერთი საარჩევნო დაპირება იყო, რომ ოთხი წლის თავზე, არ იქნება არც ერთი დაავადებული ხე თბილისში და ამას ჩვენ მივყვებით". რაც შეეხება ამ მიმართულებით ხარჯების შემცირებას ერთი მილიონით, აღნიშნა, რომ სანიტარულ ჭრებს, გარემოს დაცვის სამსახურის გარდა, ახორციელებს „ეკოსერვის ჯგუფი", რომელიც წლის დასაწყისში დაიწყებს ამ სამუშაოებს და დიდი ალბათობით, ბიუჯეტში ცვლილებების წარმოდგენისას, შესაძლებელია არა თუ მილიონი, არამედ მეტიც მოვითხოვოთ ამ მიმართულებით. ნარჩენების მართვაზე განაცხადა, რომ ამ კუთხით თბილისი საკმაოდ ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს და ამიტომ, იბიარდთან თანამშრომლობით, ვასრულებთ მუშაობას თბილისის ნარჩენების მართვის სტრატეგიაზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ნარჩენების შემცირება და რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში იგეგმება, რომ თბილისი გადავიდეს სეპარირებული ნარჩენების შეგროვებაზე და დავიწყოთ ნარჩენების გადამუშავების ქარხნის მშენებლობა. მისი თქმით, სტრატეგიაში ასევე, გაწერილია თუ რა უნდა გაკეთდეს მოქალაქეების ცნობადობის ამაღლების და წახალისების მიზნით. სტუდენტების დაფინანსების კუთხით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ ბაკალავრიატის დონეზე არსებობს სახელმწიფო გრანტი და სწორედ იმიტომ, რომ მაგისტრატურის სტუდენტებისთვის გათვალისწინებული არ იყო არაფერი, მუნიციპალიტეტის მხრიდან შემუშავდა დაფინანსების პროგრამა, თუმცა, თუ ბაკალავრების მიმართულებით არსებობს რაიმე კონკრეტული ჯგუფი, რომელიც საჭიროებს დახმარებას, შესაძლებელია ამ მიმართულებით მსჯელობა. აქვე, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკარები არ სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით, თუმცა ამ მიმართულებითაც შესაძლებელია მუშაობა. სპორტის და სახელოვნებო მიმართულებით დაფინანსების კუთხით დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ ბიუჯეტის კუთხით დახლოებით ერთი და იგივე დაფინანსებაა და ორივე მიმართულება რომ ერთნაირად მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ მოხდა მათი ერთ სამსახურში გაერთიანება.

ილია ელოშვილმა ისაუბრა უფასო სასადილოებზე და განმარტა, რომ არასწორია მთლიანი თანხის ბენეფიციარებზე გაყოფა და საკვებისთვის გამოყოფილი თანხის ასე გამოყვანა, რადგან ამ პრინციპით დათვლის შემთხვევაში, სამსულიანი ოჯახი, რომელიც, პირობითად, მხოლოდ კვებისთვის თვეში ხარჯავს 900 ლარს, რაც, ეკონომიურად ხარჯვის შემთხვევაში, გონივრული თანხაა, ერთი ადამიანის ერთჯერად კვებაზე დახარჯული თანხა დაახლოებით 2-დან 3 ლარამდე გამოდის. აღნიშნა, რომ ეთანხმება მშრალ საკვებზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან აღნიშნული აღმოფხვრის დღეს არსებულ ბევრ პრობლემას, თუნდაც ნაშთების და დანაკარგების კუთხით და ამ მიმართულებით მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. ამ ეტაპზე, მერიას, ნუტრიციოლოგების რჩევის გათვალისწინებით,

აქვს ორი ვარიანტი, თუ როგორი უნდა იყოს ასეთი ტიპის საკვები, ფიქრობს, რომ შესაძლებელია კვირაში ორჯერ მოხდეს მშრალი საკვების გაცემა, 2-2 პურის დამატებით. უახლოეს დღეებში გამოცხადდება საბაზრო კვლევა, თუ რა დაჯდება აღნიშნული და გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება 30-35 მილიონი დაიხარჯოს შედეგიანად, ვიდრე იხარჯებოდეს 25 მილიონი და არც ბენეფიციარი იყოს კმაყოფილი და არც სისტემა იყოს გამართული. ილია ელოშვილმა ისაუბრა ასევე, საბავშვო ბაღების საღი რძით მომარაგებაზე და განაცხადა, რომ თითოეული ჩვენგანი გულშემატკივრობს ქართულ პროდუქციას, თუმცა სატენდერო მოთხოვნებში ამის ჩაწერა იქნება დისკრიმინაციული და ხელს შეუწყობს კონკურენციის შეზღუდვას. გარდა ამისა, საქართველოში არ იწარმოება შესაბამისი რაოდენობის საღი რძე და ამასთანავე, ასეთი ხარისხის დიდი რაოდენობის პროდუქტის ტრანსპორტირება სახიფათოა, თუმცა შემდეგი ტენდერი უნდა გამოცხადდეს გაზაფხულზე, ხოლო მანამდე შეგვიძლია დეტალურად ვიმსჯელოთ ამ საკითხზე და მივიღოთ ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება. რაც შეეხება შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს საბავშვო ბაღში დადის არაუმეტეს 12000 ბავშვი და სად მიდის მათი კვებისთვის განკუთვნილი თანხა, განმარტა, რომ პანდემიის დროს, საკვების დარიგება იყო ერთიანი პროგრამა, რადგან ყველა ბაღი იყო დაკეტილი და შესაბამისად, მენეჯმენტის კუთხით, ყველაფერი იყო მოწესრიგებული და გამართული. ხოლო, დღეს, როდესაც ბაღები იკეტება ადგილობრივად, ამ პროცესის წარმართვა გაცილებით რთულია. თუმცა, მერია გადახდას აწარმოებს ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით და შესაბამისად, თანხა, 2 მილიონი იქნება თუ 10 მილიონი, არსად არ იკარგება. მარტოხელა დედებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთვის, როგორც ცალკე აღებული ჯგუფისთვის კონკრეტული პროგრამები არ არის შემუშავებული, საჭიროებიდან გამომდინარე, იქნება ეს მედიკამენტები, საოპერაციო თუ სხვა ტიპის დახმარება, მომართვის შემთხვევაში, მათ ენიჭებათ უპირატესობა, თუმცა, თუ ამ მიმართულებით იქნება რაიმე შემოთავაზება, შესაძლებელია მსჯელობა.

საკრებულოს წევრებმა გააკეთეს შეფასებები.

ზვიად კუპრავამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში, მათ შორის თბილისშიც, არის უამრავი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა და საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა ინიციატივით - საკრებულოს სხდომები ჩავატაროთ კვირაში ერთხელ, რათა ვისაუბროთ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე და მეტი ვიმუშაოთ ამ კუთხით არსებული ვითარების უკეთესობისკენ შეცვლაზე.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ იპოდრომის პროექტი, ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით უნდა დასრულებულიყო ორ წელიწადში, თუმცა, იქ არსებულ სიტუაციას დასრულების არაფერი ეტყობა და საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით - გეგმიურად მიდის სამუშაოების განხორციელება თუ პროექტის დასრულების ვადამ გადაიწია. რაზეც ირაკლი ხმალაძისგან მიიღო პასუხი, რომ იპოდრომის პარკის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს თბილისის მერია, ფონდი „ქართუს“ დახმარებით, რაც გულისხმობს იმას, რომ დამკვეთი არის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამუშაოებს ახორციელებს ფონდი „ქართუ“ საკუთარი სახსრებით და თბილისის ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით თანხა არ დაიხარჯება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და იპოდრომის პარკის მოწყობის პროექტის განხორციელებას დასჭირდება ორი წელი.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში ციფრები კარგად არის დალაგებული, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია, როგორ აისახება აღნიშნული მოქალაქეების კეთილდღეობაზე. აქვე, გააჟღერა ტაქსებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია, თითქოს ამ მიმართულებით განსახოციელებელი რეფორმის მესამე ეტაპი არის ის, რომ 2012 წელს ქვევით გამოშვებული ავტომობილით აიკრძალება მომსახურება და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შესაძლებელია იყოს მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. „ჭორი“, დაინტერესდა, ეს ინფორმაცია შეესაბამება თუ არა სიმართლეს. რაზეც ირაკლი ხმალაძისგან მიიღო პასუხი, რომ აღნიშნული

ინფორმაცია არის ტყუილი. მამუკა გუგეშაშვილმა ისაუბრა გარევაჭრობის მიმართულებით არსებულ პრობლემაზე, აღნიშნა, რომ ეთანხმება გარევაჭრობის აკრძალვას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანები მთელი დღე ქუჩაში დგანან გაჭირვების გამო, ჯერ უნდა შევუქმნათ შესაბამისი პირობები და შემდეგ ავუკრძალოთ საქმიანობა.

ნინო ვარდოსანიძემ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იცვლება არა მხოლოდ ცალკე აღებული ფასი, არამედ, მთლიანი სისტემა, დაინერგება ევროპული ტიპის სისტემა, რაც გულისხმობს მეტ კომფორტს და მოქნილობას, სადაც შემოთავაზებულია მგზავრობის რამდენიმე პაკეტი. მნიშვნელოვანია ის, რომ მოქალაქეს შეუძლია აირჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები პაკეტი, რომლითაც უფრო დაბალ ფასში იმგზავრებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთიანად ვერ შეძლებენ აბონემენტის სრული საფასურის გადახდას, კარგი იქნება, ვიფიქროთ მათთვის გადახდის ალტერნატიული გზის მოძიებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთიან სიტემაში ჩაერთვებიან მიკროავტობუსებიც, რომლითაც ძალიან ბევრი ადამიანი სარგებლობს და ფიქრობს, რომ განხორციელებული რეფორმით, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გაიზრდება მოთხოვნაც და მოხმარებაც, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ კიდევ უფრო გამოიკვეთება საჭიროებები. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ის, რომ შენარჩუნებული იქნება მგზავრობის ტარიფის კუთხით არსებული ყველა შეღავათი, განაცხადა, რომ პრაქტიკაში კიდევ უფრო გამოჩნდება ის სიკეთე, რასაც ევროპული სისტემა გულისხმობს, მგზავრობა გახდება უფრო უსაფრთხო და კომფორტული და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული სისტემა წარმატებით დაინერგება.

ნინო კვიტაიშვილმა გააჟღერა მოტორული შეფერხების მქონე ბავშვთა მშობლების თხოვნა, რომ როდესაც სკოლის ტერიტორიაზე ხდება გზების და ინფრასტრუქტურის მოწყობა, ამ ბავშვებისთვის გათვალისწინებული იქნას ბორდიურის სიმაღლე და შესაბამისი პანდუსი.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა ნინო კვიტაიშვილის მიერ გაჟღერებულ თხოვნას, განაცხადა, რომ ძალიან კარგი იდეაა, აღნიშნული არის ევროპული გამოცდილება და ამ მიმართულებით პროექტის შემუშავებაზე აუცილებლად დაიწყება მუშაობა.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ალბათ არავის ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები და, მათ შორის, ბიუჯეტის პროექტი ოპოზიციის მხრიდან პოზიტიურად იქნებოდა შეფასებული და რაც არ უნდა შთამბეჭდავი ვერსიები იქნას წარმოდგენილი, მაინც გახდება პოლიტიკური სპეკულაციის საგანი. თუმცა, საბედნიეროდ, ეს არაფერს ცვლის, რადგან თბილისელების დიდმა ნაწილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე სწორედ კახა კალაძეს და მის ადმინისტრაციას მისცა ლეგიტიმაცია, რომ საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულიყო პრიორიტეტული მიმართულებებით. ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ნამდვილად ნაფიქრია იმ საჭიროებებზე, პრობლემებზე და გამოწვევებზე, რომლებიც აწუხებს თბილისს და თბილისელებს. მისი თქმით, შორს არის აზრისგან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არის იდეალური ვარიანტი, ყველას გვაქვს სურვილი, შესრულდეს რაც შეიძლება მეტი დაპირება და გაკეთდეს რაც შეიძლება მეტი საქმე, თუმცა დღეს შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია იდეალური პროექტის წარმოდგენა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბიუჯეტი, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია, ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით წარმოდგენილია დაფინანსების მატება და იმედი გამოთქვა, რომ 2022 წლის ბოლოს, ყველა, მათ შორის, ოპოზიციის ნაწილიც, იამაყებს იმ განხორციელებული პროექტებით და პროგრამებით, რომლებიც დაფინანსებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტით.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ვერ მოისმინა პასუხი, თუ რას მოხმარდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით გათვალისწინებული 20000000 ლარი და იქიდან გამომდინარე, რომ სხდომის ფორმატი აღარ ითვალისწინებს კითხვის დასმას, მიმართა ირაკლი ხმალაძეს,

აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს წერილობით. ასევე, დააზუსტოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რა იგეგმება პარკირების გასხვისების კუთხით, რადგან ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული 30000000 ლარი აღქმულია ისე, რომ იგეგმება პარკირების გასხვისება და თუ არ იგეგმება, მაშინ ეს თანხა არის თუ არა პარკირებიდან მისაღები შემოსავალი. ირაკლი ხმალაძემ აქვე უპასუხა ანა გოგოლაძეს და განმარტა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით გამოყოფილი თანხა გათვალისწინებულია პროექტირების, დემონტაჟისა და მშენებლობისთვის. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ერთი წლის განმავლობაში ვერ დასრულდება დემონტაჟი და მშენებლობა, წლიური ხარჯი არის დაახლოებით ერთი მილიონი ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ 20000000 ლარით, ერთი წლის განმავლობაში, შესაძლებელია მიმდინარეობდეს 20 კორპუსის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა. თუმცა, მიზანი არის ის, რომ წლიური ხარჯი ამ მიმართულებით, ავიდეს დაახლოებით 50000000 ლარამდე, რადგან ეს არის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პროგრამა. პარკირების გასხვისებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დღეს, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და თუ დადგება, რა თქმა უნდა, ამ საკითხს თბილისის მერია განიხილავს საკრებულოსთან ერთად. მისი თქმით, თუ აღნიშნული დადგება დღის წესრიგში, გასხვისების მოდელი აუცილებლად უნდა იყოს განსხვავებული და არა ისეთი, როგორც ეს იყო წინა წლებში, როდესაც კომპანიის შემოსავალი მთლიანად მიბმული იყო მოქალაქეების დაჯარიმებაზე და ხელახლა მართვის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, მოდელი უნდა იყოს იმგვარად, რომ კომპანიას ჯარიმებთან კომერციული ინტერესი არ აკავშირებდეს. აქვე, განმარტა, რომ ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული თანხა არის ზონალური პარკირებიდან მისაღები თანხა.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილი განხილვით დავრწმუნდით, რომ ბიუჯეტის პროექტი მოხმარდება ჩვენი ქალაქის და თანამოქალაქეების უმთავრეს საჭიროებებს, ყველა დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტის ბოლომდე მიყვანას და ასევე, ახალი პროექტების განხორციელებას. 2022 წლის ბიუჯეტში ასახულია წინასაარჩევნოდ გაჟღერებული სიახლეები: ავარიული სახლების ჩანაცვლება, ჯანდაცვის ახალი პროგრამები და სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების 500 ლარიანი ვაუჩერი. მისი თქმით, ასევე, აღსანიშნავია, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით შენარჩუნებულია ორი მთავრი პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურა და ამ მიმართულებით არსებული ყველა სექტორის მხარდაჭერა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ დავუჭერთ მხარს იმ ბიუჯეტს, რომლის მიზანია ადამიანების სიღარიბეში დატოვება. რომლის მიზანი, არცერთ შემთხვევაში, არ არის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და არის უბრალოდ საბიუჯეტო რესურსების განაწილება იმგვარად, რომ ამ ქალაქში არც ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნას და არც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები... ეს არ არის ის ბიუჯეტი, რომელიც თბილისელებს შეეხიდება იმ სასოწარკვეთაში, რომელიც „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში ჩამოყალიბდა“. საბა ბუაძის თქმით, კახა კალაძის მმართველობის პირობებში 31000-ით არის გაზრდილი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა, ხუთიდან ერთი თბილისელი არის უმუშევარი და ფიქრობს, რომ დედაქალაქის ადმინისტრაციამ ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს თბილისის მთავრობის წარმომადგენლებთან ყველა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც მათ გამოთქვეს თანამშრომლობისთვის მზადყოფნა და მოემსახუროს თბილისელების საჭიროებებს და იმ პრობლემებს, რომლებიც მათ მიერ იქნა გაჟღერებული.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტი და ზოგადად, სისტემა და პროგრამები წლიდან წლამდე დიდად არ იცვლება და იმედი გამოთქვა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის შემუშავებაზე ყველა ერთად იმუშავებს, არ იქნება ისე, რომ მერია საკრებულოში 15 ნოემბერს შემოიტანს ბიუჯეტის პროექტს და შემდეგ ფორს-მაჟორში დაიწყება მისი განხილვა. აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, მერია მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობას იწყებს მარტიდან და კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ ჩართული იქნება ამ პროცესში.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ვერ მიიღო პასუხი, თუ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ის, რომ თბილისმა 11000000 ლარი იხადოს ვალებში. მისი თქმით, კარგია 1305000000-იანი ბიუჯეტის ნიშნული, თუმცა, ამის უკან დგას თბილისელების მილიარდიანი ვალი და შესაბამისად დადებითად ვერ შეაფასებს იმ ეფექტურობას, თუ რის ფასად რას ვაკეთებთ. აქედან გამომდინარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ დემოკრატიისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, საკრებულოში წარმოდგენილი საკითხების შესწავლისთვის და განხილვისთვის იქნება მეტი დრო, რადგან ეს აუცილებელია თბილისელების კეთილდღეობისთვის.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს და ამის მიზეზი არ არის ის, რომ ოპოზიციონერია. დარწმუნებულია, რომ ბიუჯეტში ბევრი ისეთი ასპექტია, რაც მის ოპოზიციონერ კოლეგებსაც მოსწონთ, მაგრამ არა მას, რისი მიზეზიც არის ის, რომ, როდესაც საუბარია სოციალური ტიპის ხარჯებზე, მისთვის მთავარია დაცული იყოს მიზნობრიობა და ფიქრობს, რომ თუ არსებობს რედისტრიბუციის მექანიზმი, უკეთესი იქნება მოქალაქეებს მისცენ თანხა და მათ თავად განსაზღვრონ, რა იქნება ის პროექტები, რასაც საკუთარ თავს დაუფინანსებენ. მისი თქმით, სპორტისა და კულტურის წარმომადგენლებს ვაქცევთ ბიუროკრატებად არა მხოლოდ ხელფასების ნაწილში, არამედ ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების კუთხითაც, რადგან თუ მოგვწონს ამა თუ იმ სპორტსმენის მიერ მოპოვებული მედალი, უმჯობესია მოქალაქეებმა საკუთარი ნებით დააფინანსონ ისინი და რომელიმე სპორტსმენის საკეთილდღეოდ ჩვენ არ წავართვათ ფული იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ სპორტსმენებზე მეტად უჭირთ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ შესაძლებელია მისი იდეები რადიკალური იყოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებისთვის, მაგრამ იმ ადამიანებმა, ვინც მას მხარი დაუჭირა, ამაზე სასაუბროდ მისცეს ლეგიტიმაცია.

ნინო რუხაძის თქმით, კმაყოფილია იმით, რომ დღეს მტკიცდება თბილისის ბიუჯეტი, რომელიც ასახავს ისტორიულ მაქსიმუმს და იმ პრიორიტეტებს, რომლებსაც მხარი დაუჭირეს თბილისელებმა. მან დაინახა თბილისის მთავრობის ამბიცია, რომ მზად არის საქმე აკეთოს კარგად, რაც გულისხმობს იმას, რომ ბიუჯეტით წარმოდგენილი პროექტების განხორციელებამ მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს ქალაქს და მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო სპექტრს. აქვე, აღნიშნა, რომ დღეს, თბილისის მთავრობის წარმომადგენლებისგან დაინახა თანამშრომლობისთვის მზადყოფნა, შენიშვნების და იმ წინადადებების მიმღებლობა, რომლებიც წამოაყენეს ოპოზიციონერმა კოლეგებმა და განაცხადა, რომ ასეთი დამოკიდებულება არის პროფესიონალური და პასუხიმგებლიანი და ეს არის მართვის ევროპული კულტურა.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ ბიუჯეტს და, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, განაცხადა, რომ წინასაარჩევნოდ გაცემული თითქმის ყველა დაპირება ასახულია 2022 წლის ბიუჯეტში, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ დღეს გავლილი პროცესების მიუხედავად, ბიუჯეტში არაფერი იცვლება და ერთადერთი სასიკეთო დაპირება რაც იყო, არის ის, რომ უფასო სასადილოების ბენეფიციარებს გაუუმჯობესდებათ საკვები ულუფა და გადავლენ მშრალ კვებაზე. განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ბიუჯეტი უფრო მეტად მორგებულია „მაღალი ფენის ინტერესებზე" და როდესაც საუბარი იყო ხელფასების ზრდაზე, არცერთი ჩვენგანი არ გულისხმობდა, რომ შრომის ანაზღაურება არ უნდა მომატებოდა სპეციალისტს და უფროს სპეციალისტს, საუბარი იყო ზედა რგოლზე, რომელთა ხელფასი 2000 ლარზე მეტია, მათ შორის, საკრებულოს წევრებზეც. მისი თქმით, შესაძლებელი იყო დაწესებულიყო რაღაც ზღვარი, რომლის ზევითაც ამ ადამიანებს აღარ გაეზრდებოდა ხელფასი და ამ კუთხით დაზოგილი თანხა მიმართულიყო

უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებებისკენ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ირაკლი ხმალაძემ ვერ გვიპასუხა, თუ რა პოლიტიკა აქვს ფინანსთა სამინისტროს მილიარდიან სესხთან დაკავშირებით, ამასთანავე ამ კუთხით გვაქვს ყოველწლიური მატება და გაუგებარია, ვის ვაკისრებთ ამ ვალის გადახდას და რატომ გვიხარია მოედნების გაკეთება ნასესხები ფულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძემ დეტალურად ისაუბრა საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე და თანმიმდევრობით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები:

3. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე".

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე".

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" პროექტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ“.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 4 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი